საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 18 (38) | შაბათი, 26 იანვარი, 1991 წ. | ფასი 10 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

ორმოცდაათ და ას მანეთიანი ფულის ნიშნების ჩაბარებისა და მათი სხვა ღირებულების ფულის ნიშნებზე გამოცვლის ღონისძიებათა რესპუბლიკაში ორგანიზებულად ჩატარებისა და ამ ღონისძიების განხორციელებისას წამოჭრილი საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეიქმნას სპეციალური რესპუბლიკური სადეპუტატო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **გელანტია ბ. ა.** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, კომისიის თავმჯდომარე.
2. **თაქთაქიშვილი ბ. ჩ.** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი.
3. **ასანაძე გ. ვ.** — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი.
4. **პაპავაშვილი ვ. ა.** — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარე.
5. **სატიაშვილი ო. გ.** — საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 23 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა საყურადღებოდ

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა 1991 წლის 24 იანვრის ნაცვლად გაიმართება 1991 წლის 29 იანვარს, 10 საათზე, უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

უზენაესი საბჭოს წევრთა რეგისტრაცია დაიწყება 29 იანვარს, 8 საათსა და 30 წუთიდან.

ბალტიის ქვეყნები

პარლამენტის მეთაურის მტკიცებანი

„ლიტვაში საზიზღარი, მხეცური ტერორია“, — ამტკიცებდა ლიტვის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. ლანდსბერგისი, როცა პარლამენტის სესიის სხდომაზე გააკეთა ინფორმაცია ლიტვაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. მან დეპუტატებს აცნობა, რომ დღეს დილით ლიტვაში მყოფ სსრ კავშირის პრეზიდენტის წარმომადგენელს გ. ტარაზევიჩს მიმართა თხოვნით, გაერკვია, რატომ „განაგრძობენ თვითნებობას საბჭოთა არმიის ქვედანაყოფები, მიუხედავად სსრ კავშირის პრეზიდენტის განკარგულებებისა, რომელმე ორგანიზაციისა თუ კომიტეტის ინტერესების დასაცავად საბჭოთა არმიის გამოყენების დაუშვებლობის შესახებ“. მან გამოთქვა აღშფოთება იმის, გამო, რომ გუშინ „სამხედროებმა ხელთ იგდეს კიდევ ერთი შენობა და მასში არსებული მატერიალური ფასეულობანი, იმუქრებოდნენ იარაღით და გამორეკეს იქ მყოფი მუშაკები“.

პარლამენტის მეთაურმა აგრეთვე განაგებად თქვა, რომ არა სხვა ვინმეს, არამედ სამხედროებს მიუძღვით ბრალი იმაში, რომ „გუშინ მოიტაცეს სტუდენტი მინდაუგას იუზუკონისი“. ამასთან, არ წარმოუდგენია არავითარი დამამტკიცებელი საბუთი ამ მტკიცების სასარგებლოდ. „საბჭოთა ხელმძღვანელობის სიტყვა და მოქმედება კვლავ არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან“, — გამოტანა დასკვნა ვ. ლანდსბერგისმა და დასვა კითხვა: „ვის ეკუთვნის ძალაუფლება საბჭოთა კავშირში?“.

შეეხო რა იმას, რომ გვარდება ლიტვის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანამრომლობა სსრ კავშირის პროკურატურის ჯგუფთან 12 იანვარს ლიძით ვილნიუსში ტრაგიკული ამბების გამოსაძიებლად, ვ. ლანდსბერგისმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა „დადგინდეს, ვინ აფინანსებს, აჭმევს ტერორისტთა რაზმს, რომლებმაც მოაწყვეს და განახორციელეს სისხლისღვრა“, მოითხოვა „დასვან საკითხი თვითმარქვია ორგანიზაციების შემადგენლობის, დაფინანსების წყაროების შესახებ“.

დახოცეს შვედეთის მოქალაქეები

ორი შვედი პროფკავშირული მოღვაწის უკვე ფრუდრიქსონისა და ბერტილ ვინჩბერგის გვამები აღმოაჩინეს ხუთშაბათს ტალინის სპეცავტობაზის ტერიტორიაზე მარილნარევი ქვიშის გროვაში.

ფრედრიქსონი 50 წლის იყო, ვინჩბერგი — 56-ისა. ისინი კვირას ჩამოვიდნენ ესტონეთში, რათა სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინათ ადგილობრივ მეწარმეებთან.

სისხლიან სამართლის სამძებროს ადგილობრივი მუშაკები თავს იკავებენ მომხდარი ამბის შეფასებისაგან. ვერსია, თითქოს მკვლელობა პოლიტიკური მოტივებით მომხდარიყოს, მათ ნაკლებ სარწმუნოდ მიაჩნიათ. ამავე აზრს იზიარებს შვედეთის ლენინგრადის საკონსულოს ტალინის ფილიალიც.

ლატვია გლოვობს

გუშინ ლატვიის რესპუბლიკაში ყველგან გამოფენილი იყო სამგლოვიარო დროშები. ხალხი ეთხოვებოდა იმათ, ვინც 20 იანვარს დაიღუპა, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში, საბჭოთა სპეცნაზწოლებთან შეტაკების დროს.

ისინი ოთხნი იყვნენ: კონორეი-სორი და ოპერატორი სლაპინში, მილიციის უფროსი ლეიტენანტი გომონოვიჩი, მილიციის ლეიტენანტი კონონენკო და მოსწავლე რიეკსტინში. ლატვიის მინისტრთა საბჭომ დახმარება გამოუყო დაღუპულთა ოჯახებს.

ქალაქის ცენტრში, თავისუფლების ქანდაკებასთან, ეკლესიის ზარებს გუგუნში გაიმართა სამგლოვიარო თავყრილობა, სადაც ჩავიდნენ რესპუბლიკის ყველა მხარის წარმომადგენლები.

გლოვა გამოცხადდა ლიტვასა და ესტონეთშიც.

საზღვარგარეთ

დაიკარგნენ შურნალისტები

ამერიკული ტელეკომპანიის სი-ბი-ეს-ის ოთხი ჟურნალისტი, რომლებიც სპარსეთის ყურეში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდნენ, უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ, იუწყება ამავე ტელეკომპანიის წარმომადგენელი ტომ გუდმანი. მათი ავტომობილი აღმოაჩინეს საუდის არაბეთის ტერიტორიაზე ქუვეითის საზღვრის მახლობლად. „იმედი გვაქვს, რომ ისინი მეგობრულად განწყობილი ძალების ხელში არიან“, — აღნიშნა გუდმანმა.

დაკარგულთა შორის არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოცდილი ტელეჟურნალისტი ბობ სიმონი. იგი რეპორტაჟებს გადმოსცემდა ვიეტნამიდან, ისრაელიდან, ლიბანიდან და ჩვენი პლანეტის სხვა „ცხელი წერტილებიდან“.

ამჟამად საბრძოლო მოქმედების გასაშუქებლად საუდის არაბეთში 700-მდე ჟურნალისტია.

მიიღეს რეზოლუცია

გუშინ სტასბურგში დასრულდა ევროპარლამენტის იანვრის სესია. შეგახსენებთ, რომ ევროპარლამენტი ევროპული ქვეყნების საკონსულტაციო ორგანოა. ამჯერად აქ განიხილავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას სპარსეთის ყურეში და ბალტიისპირეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი.

ბალტიისპირეთისადმი მიღებულ რეზოლუციაში დაგმობილია ძალის გამოყენება. ევროპარლამენტი, ნათქვამია რეზოლუციაში, იტოვებს უფლებას გადახედოს საბჭოთა კავშირისათვის ფინანსური და ეკონომიკური დახმარების პროგრამას, თუ ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთსა და სხვა რესპუბლიკებში ვითარება გაუარესდება.



სპარსეთის ყურეში. ამ რეგიონში ომის დაწყების დღიდან მრავალეროვანი ძალების ავიაციამ 12 ათასზე მეტი საბრძოლო გაფრენა განახორციელა.

სურათზე: ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების თვითმფრინავი ფ-18 „ჰორნეტი“ მზად არის საბრძოლო დავალების შესასრულებლად.

ასოშიეიტედ პრეს-საკლის-საქინფორმის ტელეფოტო.

როდემდე ეყოფა მოთმინება?

ოთხშაბათს ერაყმა მეოთხედ დაუშინა რაკეტა „სკადი“ ისრაელს. „პატრიოტის“ სისტემის რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსმა, ამჯერად შესძლო ერაყის რაკეტის ჰაერში მოსპობა. ისრაელის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა დან შომრონმა მადლობა გადაუხადა „პატრიოტის“ საზენიტო კომპლექსების მომსახურე პერსონალს. ეს სისტემა ამერიკიდან ჩაიტანეს ისრაელში და მიმდინარე ომში, სულ უფრო გადამწყვეტ როლს ასრულებს. მას ჯერ-ჯერობით ემსახურებიან ამერიკელი ჯარისკაცები, რომლებიც ამავე დროს ისრაელის სამხედრო მოსამსახურეებს ასწავლიან მათ ხმარებას.

„პატრიოტს“ უკვე ოცი წელია ამზადებს მასაჩუსეტსის შტატის ერთ-ერთი საწარმო. თავის დროზე ეს რაკეტა რეიგანს „ვარსკვლავეთის ომების“ ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტად მიაჩნდა. იგი ფაქტობრივად საბრძოლო ელექტრონგამოთვლითი კომპიუტერია. ფართო რადარი და ხუთი ათასამდე ანტენა, რაკეტას საშუალებას აძლევს ყურადღების არეში მოაქციოს დიდი ტერიტორია. მისი მოქმედების არეალია 010-კმ-ს რადიუსის და 30 კმ სიმაღლის სივრცე. საბრძოლო მიზნის აღმოჩენისა და რაკეტამშვების შემდეგ „პატრიოტი“ ფრენის დროს ცვლის ტრაექტორიას. ჭამუდმეთით აწვდის ინფორმაციას დედამიწაზე და ღებულობს შესაბამის ცვლილებებს. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი უაღრესად მაღალია. ომის წინ, 15 იანვარს, ისრაელის ხუთშაბათს ტალინის სპეცავტობაზის ტერიტორიაზე მარილნარევი ქვიშის გროვაში.

ფრედრიქსონი 50 წლის იყო, ვინჩბერგი — 56-ისა. ისინი კვირას ჩამოვიდნენ ესტონეთში, რათა სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინათ ადგილობრივ მეწარმეებთან.

სისხლიან სამართლის სამძებროს ადგილობრივი მუშაკები თავს იკავებენ მომხდარი ამბის შეფასებისაგან. ვერსია, თითქოს მკვლელობა პოლიტიკური მოტივებით მომხდარიყოს, მათ ნაკლებ სარწმუნოდ მიაჩნიათ. ამავე აზრს იზიარებს შვედეთის ლენინგრადის საკონსულოს ტალინის ფილიალიც.

ლატვია გლოვობს

გუშინ ლატვიის რესპუბლიკაში ყველგან გამოფენილი იყო სამგლოვიარო დროშები. ხალხი ეთხოვებოდა იმათ, ვინც 20 იანვარს დაიღუპა, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში, საბჭოთა სპეცნაზწოლებთან შეტაკების დროს.

ისინი ოთხნი იყვნენ: კონორეი-სორი და ოპერატორი სლაპინში, მილიციის უფროსი ლეიტენანტი გომონოვიჩი, მილიციის ლეიტენანტი კონონენკო და მოსწავლე რიეკსტინში. ლატვიის მინისტრთა საბჭომ დახმარება გამოუყო დაღუპულთა ოჯახებს.

ქალაქის ცენტრში, თავისუფლების ქანდაკებასთან, ეკლესიის ზარებს გუგუნში გაიმართა სამგლოვიარო თავყრილობა, სადაც ჩავიდნენ რესპუბლიკის ყველა მხარის წარმომადგენლები.

გლოვა გამოცხადდა ლიტვასა და ესტონეთშიც.

მთავრობის მოამბე

სოფლად საინჟინრო ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საინჟინრო ურთიერთობათა დებულების შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივ მეურნეობებში იჯარის დანერგვის საქმეში დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა მოსახლეობაში უნდობლობა გამოიწვია. სოფლის მშრომელთა ნაწილმა საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლისა და კერძო საკუთრებაში მიწის, ტექნიკის, პირუტყვისა და წარმოების სხვა ძირითადი საშუალებების გადაცემის მოლოდინში საერთოდ მიატოვა მუშაობა. დაიწყო როგორც მიწის, ისევე ზემოაღნიშნული ძირითადი საშუალებების თვითებური გადანაწილება, რის გამოც მთელ რიგ რაიონებში ჩაშლილია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, რაც საფრთხის წინაშეა 1991 და შემდგომი წლების მოსავლის ბედი!

დაუშვებლად მიიჩნია რა შექმნილი მდგომარეობა და გაითვალისწინა რა ისიც, რომ გარდამავალი პერიოდის აქტამინდეთ ეტაპზე რესპუბლიკაში შენარჩუნებული იქნება როგორც საზოგადოებრივი მეურნეობები, ისევე სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე სახელმწიფო შეკვეთა, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაავალა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, აგრეთვე სამინისტროებსა და უწყებებს, ძალზე რთულ და ძნელ ვითარებაში, გაუზავნელებლად შეიმუშავონ და დაამტკიცონ სოფლის მეურნეობის საინჟინრო მომსახურების ორგანიზაციების დებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის საინჟინრო მომსახურების ორგანიზაციების ეფექტიან მუშაობას, ტექნიკის, ტექნოლოგიების, ტექნიკური საშუალებების, სათადარიგო ნაწილების, ტექნიკური მომსახურების, ტექნიკური ექსპლუატაციის, ტექნიკური ინფორმაციის, ტექნიკური სწავლების, ტექნიკური კონტროლის, ტექნიკური ზედამხედველობის, ტექნიკური ექსპერტიზის, ტექნიკური აღრიცხვის, ტექნიკური ანგარიშგების, ტექნიკური ნორმირების, ტექნიკური დოკუმენტაციის, ტექნიკური ნორმატიული ბაზის, ტექნიკური ინვენტარიზაციის, ტექნიკური ნორმების

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულება

მეიჯარესა და მოიჯარეს შორის ურთიერთობა განისაზღვრება შინასამეურნეო ანუ სანარდო საიჯარო ურთიერთობათა შემდეგი წესით:

1. შინასამეურნეო ანუ სანარდო იჯარის ძირითადი პრინციპია მეიჯარესა (მიწისა და სხვა ძირითადი საშუალებების იჯარით გამცემი) და მოიჯარეს (მიწისა და სხვა ძირითადი საშუალებების იჯარით მიმღები) შორის ხელშეკრულების საფუძველზე დამყარებული ურთიერთობა, რომლის დროსაც დაცული უნდა იქნეს სამი ძირითადი პირობა:

— მოიჯარისათვის პროდუქციის მიყიდვის მოცულობის დადგენა კალენდარული ვადის, ხარისხისა და სახეების მიხედვით;

— მოიჯარისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების მიწოდებისა და მომსახურების გაწევის კალენდარული ვადის დადგენა;

— მისაყიდი პროდუქციის, მოხმარებული მატერიალური საშუალებებისა და გაწეული მომსახურების სახელშეკრულებო ფასების განსაზღვრა.

2. მოიჯარე შეიძლება იყოს შრომითი კოლექტივი, საწარმოს სტრუქტურული ერთეული (ფერმა, ბრიგადა, საამქრო, რგოლი და ა. შ.) ოჯახი, მოქალაქე.

3. მეიჯარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით გადასცემს მოიჯარეს მიწას და წარმოების სხვა ძირითად საშუალებებს, მისგან კი სანაცვლოდ ყიდულობს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროდუქციას სახელშეკრულებო (საანგარიშსწორებო) ფასებით.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ზევით წარმოებული პროდუქცია მოიჯარისაა და იყენებს თავისი შეხედულებისამებრ.

4. მოიჯარის მიერ მეიჯარისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ნაკლები ოდენობის პროდუქციის მიყიდვის შემთხვევაში მოიჯარე დანაკლისს ანაზღაურებს წინასწარ შეთანხმებული საბაზრო ფასებით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე მოიჯარეს არ შეუსრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, (მატერიალური ფასეულობების მიწოდება და მომსახურების გაწევა), იგი მოვალეა ამ მატერიალური ფასეულობებისა და მომსახურების ღირებულება აუნაზღაუროს მოიჯარეს ასევე წინასწარ შეთანხმებული საბაზრო ფასებით.

5. მეიჯარე მოიჯარეს უწევს საწარმოო-ტექნიკურ მომსახურებას, ამარაგებს თესლით, სასუქებით, ფურაჟით, საწვავ-საზეთი და სხვა მასალებით, რომელთა საფასურადაც სახელშეკრულებო ფასით. მოიჯარის მიერ მეიჯარისათვის მიყიდული პროდუქციის ღირებულებასა და მეორე მხრივ გაწეულ მომსახურებასა და მიწოდებულ მატერიალურ საშუალებათა ღირებულებას შორის სხვაობა წარმოადგენს მოიჯარის შემოსავალს, რომელსაც იგი იყენებს თავისი შეხედულებისამებრ.

6. სარეალიზაციო და სახელშეკრულებო (საანგარიშსწორებო) ფასთა შორის სხვაობა წარმოადგენს მეიჯარის მოგებას; რომლითაც მეიჯარე ქმნის ეკონომიკური სტიმულირების ფონდებს და იხდის ყოველგვარ გადასახადს.

7. იჯარის დროს მეიჯარესა და მოიჯარეს შორის ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით წარმოების თავისებურებებიდან და კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე.

8. მოიჯარეზე (შრომითი კოლექტივი, საწარმოს სტრუქტურული ერთეული — ფერმა, ბრიგადა, საამქრო, რგოლი და ა. შ., ოჯახი, მოქალაქე) იხსნება პირადი ანგარიში ორ ცალად — ერის აწარმოებს მეიჯარე, მეორეს კი თვით მოიჯარე, რითაც ხორციელდება ურთიერთკონტროლი. პირად ანგარიშში ყოველთვიურად შეიტანება მონაცემები გაწეული ხარჯებისა და მიყიდული პროდუქციის შესახებ.

9. მრავალწლოვან ნარგავებში (ჩაი, ციტრუსი, დაფნა, ტუნგი, ხეხილი, ვენახი და ა. შ. (იჯარით მომუშავე კოლექტივს, საწარმოს სტრუქტურულ ერთეულს, ოჯახს, მოქალაქეს მიზანშეწონილია სრულმოსავლიან ნარგაობასთან ერთად მიემაგროს ახალგაზრდა მრავალწლოვანი ნარგავები, რომელთა გაშენებისა და მოვლისათვის გაწეული ხარჯები აღიარებულია ცალკე.

ამასთან ახალგაზრდა მრავალწლოვანი ნარგაობიდან სრულ მსხმოიარობაში შესვლამდე მიღებული პროდუქციის წაწილი, რომლის მოცულობაც ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული, უნდა მიეყიდოს მეიჯარეს, ხოლო მოჯარის შრომა ანაზღაურდეს მრავალწლოვანი ნარგავების გაშენებისა და მოვლისათვის დადგენილი წესით.

მრავალწლოვანი ნარგაობის სრულ მსხმოიარობაში შესვლამდე ხელშეკრულების ზევით მიღებული პროდუქცია მოიჯარისაა და მის რეალიზაციას ახდენს თავისი შეხედულებისამებრ.

10. საანგარიშსწორებო (სახელშეკრულებო) ფასებმა უნდა უზრუნველყოს პროდუქციის წარმოების გადიდებით მოიჯარის მატერიალური დაინტერესება და მეიჯარის მიერ გარკვეული მოგების მიღება. საანგარიშსწორებო (სახელშეკრულებო) ფასებში შედის პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ყველა პირდაპირი დანახარჯი, კერძოდ, შრომის ანაზღაურება დანარიცხებითა და სოციალზღვევის ანარიცხების ჩათვლით; თესლის, სარგავი მასალის, საკვების, სასუქების, შხამქიმიკატების, მედიკამენტების, საწვავ-საზეთი მასალების ღირებულება; ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია და მიმდინარე რემონტი, აგრეთვე სხვა პირდაპირი დანახარჯები.

11. საანგარიშსწორებო (სახელშეკრულებო) ფასი ამა თუ იმ პროდუქციის ერთეულზე განისაზღვრება ზემოაღნიშნული პირდაპირი დანახარჯების ჯამის გაყოფით პროდუქციის წარმოების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოცულობაზე.

12. საანგარიშსწორებო (სახელშეკრულებო) ფასი იანგარიშება ორი ვარიანტით:

— ნორმატიული მეთოდით — იმ შემთხვევაში, როდესაც შემუშავებულია პროდუქციის ერთეულზე პირდაპირი საწარმოო დანახარჯების დასაბუთებული ნორმატივები. ამ პირობებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მთლიანი პროდუქციის ნორმატიული პირდაპირი დანახარჯების ჯამი იყოფა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროდუქციის მოცულობაზე;

— წინა 3-5 წლის ფაქტიური (შესადარ ფასებში გადაანგარიშებული) დანახარჯების მიხედვით — ეს წესი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კარგად ორგანიზებულ საწარმოებში, სადაც წარმოების პროცესი რაციონალურ-ტექნოლოგიურ საფუძველს ემყარება. ამ შემთხვევაში პირდაპირი დანახარჯები (შესადარ ფასებში გადაანგარიშებული) იყოფა ამავე წლებში ფაქტიურად წარმოებულ პროდუქციაზე (არახელსაყრელი სამეურნეო წელი უნდა გამოითიშოს).

13. საანგარიშსწორებო (სახელშეკრულებო) ფასები წესდება ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადისათვის. თუ ამ პერიოდში გამოვლინდება უზუსტობანი ან მკვეთრად შეიცვლება წარმოების პირობები, შესაძლებელია მათი კორექტირება ხელშეკრულების მოწაწილე მხარეთა შეთანხმებით.

14. ხელშეკრულების ზევით მეიჯარისათვის მისაყიდ პროდუქციაზე ურთიერთშეთანხმებით შეიძლება დაწესდეს ორივე მხარისათვის მისაღები ფასი.

15. იჯარით მომუშავე შრომით კოლექტივს, საწარმოს სტრუქტურულ ერთეულს (ფერმა, ბრიგადა, საამქრო, რგოლი და ა. შ.), ოჯახს, მოქალაქეს წარმოებული პროდუქციისათვის საბოლოო ანგარიშსწორებამდე წლის განმავლობაში ეძლევა ავანსი. მისი ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

ავანსის თანხა შრომითი კოლექტივის წევრთა შორის ნაწილდება მათივე გადაწყვეტილებით,

საბოლოო შედეგებისათვის ანგარიშსწორება ხორციელდება მეიჯარისათვის პროდუქციის მიყიდვის შემდეგ. მემცენარეობაში ეს, როგორც წესი, წლის ბოლოს ხდება. მეცხოველეობაში, სადაც პროდუქცია რეგულარულად შემოდის (მაგალითად, რძე, კვერცხი), აგრეთვე მომსახურების სფეროში ანგარიშსწორება წარმოებდეს ყოველთვიურად.

16. მოიჯარე შრომითი კოლექტივის და ოჯახის თითოეული შრომისუნარიანი წევრი ექვემდებარება სოციალურ დაზღვევას და ამის გარანტიაზე ისინი უზრუნველყოფილი არიან პენსიით (მოქმედი კანონმდებლობით).

შრომითი სტაჟი განისაზღვრება მეიჯარისათვის მიყიდული პროდუქციის შესაბამისად შრომითი ნორმატივის გამოყენებით.

17. შინასამეურნეო (სანარდო) იჯარაზე ხელშეკრულება ფორმდება საქსახაგრომრეწვის მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით. (თან ერთვის).

18. მეიჯარესა და მოიჯარეს შორის წინა წლებში დადებული ხელშეკრულება ძალაშია, თუ ის არ ეწინააღმდეგება ამ დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

19. იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მოიჯარეს ეკრძალება ყოველგვარი არასამეურნეო დანიშნულების მშენებლობა.

20. მოიჯარე მოვალეა დაიცვას მიწის გამოყენების მოთხოვნები, არ დაუშვას ეკოლოგიური პირობების გაუარესება და მიწის ნაყოფიერების დაქვეითება, დაიცვას მიწა ეროზიისაგან და თუ მისი მიზეზით გაუარესდა მიწის ნაყოფიერება, საკუთარი ხარჯებით აღადგინოს იგი.

21. სტიქიით მიყენებული ზარალის შემთხვევაში მეიჯარე მოიჯარეს გაუწევს დახმარების დაზღვევის არსებული წესის მიხედვით.

22. მეიჯარესა და მოიჯარეს შორის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა გამო დავას ათი დღის ვადაში განიხილავს მხარეთა წარმომადგენლობისაგან შემდგარი კომისია. თუ კომისია ვერ გადაწყვეტს დავას, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს ან არბიტრაჟს.

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის აგრარსამრეწველო კომიტეტი
ტიპობრივი ხელშეკრულება
იჯარით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შესახებ

ერთი მხრივ საქართველოს რესპუბლიკის . . . . . რაიონის . . . . . საწარმოს სახელით (შემდგომში მეიჯარედ წოდებული)

(თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი)

და მეორე მხრივ მოიჯარედ წოდებული მოქალაქე . . . . . (გვარი, სახელი, მამის სახელი)

. . . . . ვდებთ ამ ხელშეკრულებას 199 წლის . . . . . დან . . . . . წლის ვადით, 199. . . წლის ჩათვლით, შემდეგზე:

1. მოიჯარე ვალდებულია:

1.1. აწარმოოს და მიჰყიდოს მეიჯარეს ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქცია შემდეგი ოდენობით:

პროდუქციის* დასახელება	ე.ი. 1991 წ.	ე.ი. 1992 წ.	ე.ი. 1993 წ.	ე.ი. 1994 წ.	ე.ი. 1995 წ.	ე.ი. 1996 წ.	ე.ი. 1997 წ.	ე.ი. 1998 წ.	ე.ი. 1999 წ.	ე.ი. 2000 წ.
1.										
2.										
3.										

1.2. ეფექტიანად გამოიყენოს მიმაგრებული მიწის სავარგულები, პირუტყვი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და წარმოების სხვა საშუალებანი.

*** შენიშვნა:** ყოველწლიურად დგინდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის მოცულობა კალენდარული ვადის, სახეების, ხარისხისა და ფასების (საანგარიშსწორებო და შეთანხმებული საბაზრო) მიხედვით.

1.3. დაიცვას ტექნიკის ექსპლუატაციის, ზოოვეტერინარული, აგროტექნიკური, უსაფრთხოების ტექნიკისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნათა წესები. არ დაუშვას გარემოს გაუარესება, მიწათსარგებლობის წესების დარღვევა.

1.4. უზრუნველყოს მიმაგრებული შენობა-ნაგებობების, მიწის, მრავალწლოვანი ნარგავების, პირუტყვის, მოწყობილობის, ტექნიკის, ინვენტარის, მასალების დანიშნულებით გამოყენება და წარმოებული პროდუქციის დაცვა.

1.5 დროულად წარუდგინოს მეიჯარეს მოთხოვნა საწარმოო, სატრანსპორტო და სხვა მომსახურებაზე.

1.6. აუნაზღაუროს მეიჯარეს დახარჯული მატერიალური ფასეულობების, საწარმოო, სატრანსპორტო და სხვა მომსახურების ღირებულება. მატერიალური ფასეულობებისა და გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდა განხორციელდეს მეიჯარისათვის მიყიდული პროდუქციის ამონაგებიდან მისი დაკავებით.

1.7. მატერიალური დანახარჯების, გაწეული მომსახურების და სხვა ფასეულობათა აღრიცხვა აწარმოოს იჯარის კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმებით.

2. მეიჯარე ვალდებულია:

2.1. გადასცეს საინვენტარიზაციო აქტის საფუძველზე ფაქტიური ღირებულებით მოიჯარეს ხელშეკრულების მოქმედების ვადით წარმოების ძირითადი საშუალებანი: მიწა, შენობა-ნაგებობები, მრავალწლოვანი ნარგავები, პირუტყვი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მოწყობილობა, ინვენტარი, რომელიც წარმოადგენს მეიჯარის საკუთრებას და ირიცხება მის ბალანსზე.

2.2. მიამაგროს მოიჯარეს: სახნავი . . . . . ჰექტარი, სათიბი . . . . . ჰექტარი, საძოვარი . . . . . ჰექტარი, ბაღი . . . . . ჰექტარი, ციტრუსი . . . . ჰექტარი, ვენახი . . . . . ჰექტარი, ჩაის პლანტაცია . . . . . ჰექტარი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი . . . . . სული, მათ შორის ძროხა . . . . . სული, ღორი . . . . . სული, მათ შორის დედა ღორი. . . . . სული, ცხვარი . . . . . სული, მათ შორის დედა ცხვარი . . . სული და ა. შ.

2.3. უზრუნველყოს მოიჯარე მინერალური და ორგანული სასუქებით, კომბინირებული და სხვა საკვებით, შხამქიმიკატებით, სამენი მასალებით და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული რაოდენობით, შემდეგი ფასებით *:

№ №	პროდუქციის დასახელება	ზომის ერთეული	ერთეულის ფასი (მან.)	ხელშეკრულების ზევით მიყიდული პროდუქციის ფასი (მან.)	მატერიალურ-ტექნიკური საშუალებათა დასახელება
1.					კომბინირებული საკვები
2.					მინერალური სასუქები
3.					საშენი მასალები
4.					თესლი
5.					სარგავი მასალა
6.					
7.					

2.4. აღმოუჩინოს მოიჯარეს საწარმოო, სატრანსპორტო და სხვა მომსახურება ქვემოთ მოყვანილი ფასებით *):

ტონა/კმ . . . . . მან.
ეტალონ/ჰა . . . . . მან.
მანქანა/საათი . . . . . მან.

2.5. გაუწიოს უფასო კონსულტაციები მოიჯარეს აგრონომიულ, ზოოვეტერინალურ, წარმოების მოწინავე ტექნოლოგიისა და სხვა საკითხებზე.

2.6. დროულად იყიდოს მოიჯარისაგან წარმოებული პროდუქცია და აუნაზღაუროს მისი ღირებულება 1 თვის განმავლობაში შემდეგი სახელშეკრულებო ფასებით:

№ №	პროდუქციის დასახელება	ზომის ერთეული	ერთეულის ფასი (მან.)	ხელშეკრულების ზევით მიყიდული პროდუქციის ფასი (მან.)
1.				
2.				
3.				
4.				
5.				

*** შენიშვნა:** ყოველწლიურად დგინდება კალენდარული ვადის გათვალისწინებით მატერიალურ-ტექნიკური საშუალებათა რაოდენობის მიხედვით სახელშეკრულებო (საანგარიშსწორებო და შეთანხმებული საბაზრო) ფასი.

*** შენიშვნა:** ყოველწლიურად დგინდება კალენდარული ვადის გათვალისწინებით მომსახურების მოცულობის მიხედვით სახელშეკრულებო (საანგარიშსწორებო და შეთანხმებული საბაზრო) ფასი.

ფასები სტაბილურია ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში და მისი გადასინჯვა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა უზუსტობანი მისი დადგენის დროს ან მკვეთრად შეიცვალა წარმოების პირობები, შეიცვალა მატერიალური რესურსების ფასები. ამასთან, ყველა ცვლილება უნდა შეთანხმდეს მოიჯარესთან.

საბოლოო ანგარიშსწორებამდე ავანსად გასცეს მისაყიდი პროდუქციის ღირებულების . . . . . პროცენტი.

3. საერთო საკითხები

3.1. მოიჯარე დამოუკიდებლად წყვეტს შრომის ორგანიზაციის, წევრთა შორის შრომის ანაზღაურების, შრომისა და დასვენების რეჟიმის საკითხებს.

3.2. მოიჯარის მიერ აგროტექნიკური და ზოოვეტერინარული ღონისძიებების დარღვევით შესრულებულ სამუშაოთა გამოსწორება ხდება მოიჯარის ხარჯზე. დარღვევის სახეს ადგენენ დარგის სპეციალისტები სათანადო აქტით.

3.3. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა ვრცელდება . . . . წლის ჩათვლით.

3.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში როგორც მოიჯარეს, ასევე მეიჯარეს აქვს პრეტენზიების წაყენების უფლება, ურთიერთშეუთანხმებლობის შემთხვევაში საკითხს 10 დღის ვადაში განიხილავს მხარეთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია. თუ კომისია ვერ გადაწყვეტს დავას, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სახალხო სასამართლოს ან არბიტრაჟს.

3.5. მოიჯარის მიერ მეიჯარისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ნაკლები ოდენობის პროდუქციის მიყიდვის შემთხვევაში მეიჯარე განსაზღვრავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის დანაკლისს წინასწარ შეთანხმებული საბაზრო ფასით და გამოაკლებს საბოლოო შედეგებისათვის ანგარიშსწორების დროს. იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარემ მოიჯარეს არ შეუსრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი, მოიჯარე მატერიალური ფასეულობანი და მომსახურების საერთო ღირებულების დანაკლისს განსაზღვრავს ასევე წინასწარ შეთანხმებული საბაზრო ფასით. ამ დანაკლისის ღირებულების გაყოფით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სოფლის მეურნეობის პროდუქციის საანგარიშსწორებო ფასზე მიიღება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ის რაოდენობა, რომელიც მოიჯარემ შეუძლია შეუმციროს მეიჯარეს.

3.6. მოიჯარის შემოსავლის ოდენობა განსაზღვრული და შეზღუდული არ არის. ხელშეკრულების ზევით წარმოებული პროდუქცია მოიჯარისაა და იყენებს თავისი შეხედულებისამებრ.

3.7. იჯარით მუშაობის პერიოდი მოიჯარეს ეთვლება მუშაობის უწყვეტ სტაჟში.

3.8. მოიჯარის შრომითი დანახარჯები განისაზღვრება მის მიერ მეიჯარისათვის მიყიდული პროდუქციის რაოდენობიდან გამომდინარე, რომელიც იანგარიშება უკანასკნელი 3-5 წლის საშუალო მაჩვენებლებით, რაც შეადგენს 1 ცენტნერის საწარმოებლად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე . . . . კაც/დღეს, ღორის ხორცზე . . . . კაც/დღეს, რძეზე . . . . კაც/დღეს, სიმინდის მარცვალზე . . . . კაც/დღეს, ყურძენზე . . . . კაც/დღეს, თესლოვან და კურკოვან ხილზე . . . . კაც/დღეს და ა. შ.

3 .9. მოიჯარის საშუალო შემოსავალი, რომლის საფუძველზეც უნდა დაენშნოს, ჰექსია იანგარიშება, 3,8 მუშლის მიხედვით და შეადგენს: წარმოებული და მეიჯარისათვის მიყიდული საქონლის ხორცზე . . . . . მანეთს, ღორის ხორცზე . . . . მანეთს, ცხვრის ხორცზე . . . . მანეთს, რძეზე . . . . მანეთს, სიმინდის მარცვალზე . . . . მანეთს, ყურძენზე . . . . მანეთს, ხილზე . . . . მანეთს და ა. შ.

3.10. მოიჯარესა და მეიჯარეს შორის ხელშეკრულება გადაზე ადრე შეიძლება გაუქმდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში შრომითი კოლექტივის, მოიჯარის ან მეიჯარის წარდგენით.

3.11. ხელშეკრულების პირობებს ეთანხმებიან და ხელს აწერენ მოიჯარეები (გვარი, სახელი, მამის სახელი და ხელმოწერა).

1.
2.
3.
4.
5.
6.
7.

3.12. ხელშეკრულება შედგენილი სამ ცალად. ორი ცალი ინახება მეიჯარესთან, ხოლო ერთი—მოიჯარესთან.

მოიჯარის სახელით ხელს ვაწერთ: _____ (გვარი, სახელი, მამის სახელი)

პასპორტის სერია . . . . . № . . . . . .

ხელმოწერა . . . . . .

199 . . წელი . . . . . (თვე და რიცხვი)

მეიჯარის სახელით: . . . . . (თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი)

ხელმოწერა . . . . . .

199. . . . წელი . . . . . (თვე და რიცხვი)

პრობლემა

ქართული ტყის მეურნეობის გაუმჯობესების სასწრაფო ღონისძიებები

ჩვენს რთულ მთაგორიან პირობებში ტყეების გარემოს შემქმნელ, დაცვითი და სოციალური ფუნქციების ოპტიმიზაციას საგანგებოდ გამორჩეულ ყურადღებას მოითხოვს. ამ მიმართულებით გადატეხებული აუცილებლობაა ტყის ამორჩევითი მეურნეობის წარმოების მთელი ტექნოლოგიური ციკლის დაუყოვნებელი და გადამპრელი შეცვლა.

სადღეისოდ პრაქტიკაში ფართოდ დანერგილმა მანკიერმა ტექნოლოგიამ, რომელიც დაფუძნებულია ყველა მოჭრილ ხეესთან ძირამდე წონიანი ტრაქტორებით მისვლასა და ხის მთლიანი (სორტიმენტებად დაუჭრელი) ღერობის (ძალიან ზჩირად ტოტებშეუჭრელად) გამოთრევაზე, აურაცხელი ზიანი მიაყენა არა მარტო ქართულ ტყეს, არამედ ტყის ეკოლოგიის მომდებარე სასოფლო სამეურნეო სავარგულებსაც. ამ ტექნოლოგიის თანმხლებ აუცილებელ საექსპლოატაციო ეროზიას ყოველთვის ზედ ერთვის ნიადაგის წყლისმიერი ეროზიაც და ამ პროცესებს უკვე ასეულ ათასობით ჰექტარ ფართობზე ენიცვალა ნიადაგის საფარი.

ამორჩევითი ჭრების ტყეკაფებიდან ხე-ტყის გამოთრევა მძიმე ტრაქტორების გამოყენებით კატეგორიულად დღესვე უნდა აიკრძალოს. მართალია, არსებობს საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1959 წლის დადგენილება ამ საკითხზე, მაგრამ მას არც ერთი საათი არ უმოქმედნია.

ტყეკაფიდან დამზადებული ხე-ტყე სორტიმენტებად დანაწევრებული, და არა ხის მთლიანი ღეროების სახით, უნდა გამოიზიდოს მხოლოდ და მხოლოდ საშანაო ტანსატრანსპორტის, კიდეც საბაგირო მოწყობილობებისა და ვერტმფრენების კომპლექსური გამოყენებით. საშანაო ტრანსპორტი სრულიად უვნებელია არა მარტო ტყის მეურნეობის, არამედ ბუნების დაცვის საერთო თვალსაზრისითაც, ანსაგარიშგასაწევია მისი მნიშვნელოვანი უპირატესობა (ხორცის) პრადუქტების წარმოების თვალსაზრისითაც. ამ სახის ტრანსპორტის ტყისა და საერთოდ ბუნებისათვის უვნებლობა დადასტურებულია არა მარტო საქართველოს შორეული და უახლოესი წარსულით, არამედ ევროპისა და ამერიკის, უკრაინის კარპატებისა და სხვა მთაგორიანი რეგიონების დღევანდელი პრაქტიკით.

დიდი ძალისხმევაა აუცილებელი საუკუნეების განმავლობაში ნაცადი საჭაპანო ტრანსპორტის აღორძინებისათვის. უამისოდ მთაგორიან პირობებში მხოლოდ და მხოლოდ ტყის ჭრა-დამზადებას მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე ტყის მეურნეობის სწორად წარმოებას და სამწუხაროა, რომ სწორედ ეს ხდება ე. წ. ერთი პატრონის ხელში.

დიდი ხანია დროა, მეტყეები მეურნეს საშუალება მიეცეს, თავის საქმე აეთოს, ხოლო ტყის ჭრა-დამზადება მერქნის მომხმარებელმა აწარმოოს მეტყევე მეურნის უშუალო კონტროლით.

—ტყის სანიტარულმა ჭრებმა, ტრაქტორმისადგომ ტყის კორომებში.

ცხადია, ყოველივე ეს ნამდვილი სანიტარული ჭრების წარმოების უარყოფას არამც და არამც არ ნიშნავს. იქ, სადაც ასეთი აუცილებლობა შეიქმნება, მეტყეველ მეურნემ უნდა აღრიცხოს მოსაჭრელი ხე-ტყე და მას მიერ ფიქსირებულ დოკუმენტების საფუძველზე უნდა გაიცეს ნებართვა სანიტარული ჭრების ჩატარებაზე და არა წინასწარ დაიგეგმოს იგი როგორც ახლა ხდება.

სასწრაფო რეგულირებას მოითხოვს თანამედროვე საკონტროლო სამსახური. დარგობრივმა საწარმოებმა, ფირფიცარი, ფილაქანი და სხვ.) არ იბრიცება, იხერხება, ლურსმნით იჭედება და, რაც მთავარია, არ ლპება და არ ზიანდება მავნე სოკოებით და მწერებით.

ტყის მეურნეობის წარმოების რადიკალური გაუმჯობესების ერთერთი უმთავრესი და ამავე დროს ფრიად მტკივნეული პრობლემაა საყადრო პოლიტიკა. ტყის მეურნეობის ყველა რგოლს როგორც ცენტრში, ასევე რაიონებში მხოლოდ და მხოლოდ ზეობრივად შემოწმებული, არაკორუმპირებული მეტყევე პროფესიონალები უნდა ხელმძღვანელობდნენ.

ყველაფერი ეს ნამდვილად ვერ მოესწრება ტყის ჭრა-დამზადების მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე ტყის მეურნეობის სწორად წარმოებას და სამწუხაროა, რომ სწორედ ეს ხდება ე. წ. ერთი პატრონის ხელში.

ამ იძულებითმა ღონისძიებამ, ჩვენდაუნებურად, რატომღაც გეგმიური, უფრო მეტიც — სისტემური ჭრის სახე მიიღო. უნდა ვიღიარო, რომ ეს მნიშვნელოვანი შეცდომაა და მისი არცნობა დანაშაულის ტოლფასია, რომელიც ძალიან ძვირად უჯდება ქართულ ტყეს და ბუნების დაცვის საქმეს, საქართველოში მცხოვრებ მთელ მოსახლეობას. ძალიან გაბედნიერდა სანიტარული ჭრების საბაბით საღი, ნელოი ხეების ჭრების შემთხვევები. ამის მაგალითები უამრავია, უფრო მეტიც, მასობრივი ხასიათისაა.

არსებული მდგომარეობა იმის აუცილებლობას განაპირობებს, რომ დღესვე კატეგორიულად და მთელი სიმკაცრით უარყოფილი უნდა იქნას ე. წ. გეგმიური, გაუკუღმართებული, სანიტარული ჭრების მანკიერი, დანაშაულებრივი პრაქტიკა, რადგან მან არათუ ხელი არ შეუწყო ქართული ტყის გაჯანსაღებას, არამედ ბევრგან მისი სანიტარული მდგომარეობის უკიდურესად გაუარესება განაპირობა. რაკი ტყის სანიტარული ჭრა არავითარ რეგლამენტირებას არ ითვალისწინებს, მან ხელ-ფეხი გაუხსნა ზოგ ვიმიტკაცივ პროფესიონალს, რომ გადაუჭრებული ინტენსივობის ჭრები აწარმოოს ონალური დანიშნულების განმსაზღვრელი ფაქტორების გაძლიერება და სხვა.

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ტყის ჭრა-დამზადებას მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე ტყის მეურნეობის სწორად წარმოებას და სამწუხაროა, რომ სწორედ ეს ხდება ე. წ. ერთი პატრონის ხელში.

დიდი ხანია დროა, მეტყეველ მეურნეს საშუალება მიეცეს, თავის საქმე აეთოს, ხოლო ტყის ჭრა-დამზადება მერქნის მომხმარებელმა აწარმოოს მეტყევე მეურნის უშუალო კონტროლით.

—ტყის სანიტარულმა ჭრებმა,

ცხადია, ყოველივე ეს ნამდვილად ვერ მოესწრება ტყის მეურნეობის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმოების თვალსაზრისით. დასაბუთებული მატერიალური უზრუნველყოფა გარდაუვლად განაპირობებს მეტყეველთა ინტერესის დიდად გაზრდას ტყის მეურნეობის სწორად წარმოების სასარგებლოდ და ამით არა მარტო ქართული ტყე და ბუნება, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა მოიგებს.

ფაქტია, რომ დღემდე პრაქტიკულად ყურადღება არ ექცევა მეცნიერული და ტექნიკური მიღწევების პრაქტიკაში ფართო მასშტაბით დანერგვას, უბრალოდ იმის გამო, რომ საამისო არავითარი ინტერესი არა აქვს პრაქტიკას, რადგან ამისათვის ის არავითარ წამახალისებელ საზღაურს არ იღებს. ამის გამოა, რომ მეცნიერული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის მოწინეებებით ინიციბება არა მარტო პრაქტიკა, არამედ თვით მეცნიერებაც, რადგან მეცნიერებას თვით არ გააჩნია იმდენად ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომ თავი გაართვას ამ აუცილებელ და ფრიად საჭირო საქმეს.

ტყის მეურნეობის წარმოებაში რამოებაზე აშკარად უარყოფით გავლენას ახდენს პატიოსანი, მაღალი კვალიფიკაციის და უდიდესი გამოცდილების მქონე საპენსიო ასაკს მიღწეული მეტყევე პროფესიონალების სამსახურიდან მასობრივ დათხოვნას პენსიაზე გადაყვანის საბაბით, როგორც ცენტრალურ აპარატში, ასევე რაიონებშიც.

გაცილებით უფრო სწორია შრომისუნარიანი, მაღალკვალიფიციური, გამოცდილი, მაღალზნეობრივი პენსიონერები მათი სურვილის მიხედვით საყვარელ საქმეს დავუბრუნოთ, თუნდაც დაბალი რანგის, რიგით მუშაკებად. ამით დიდ, კეთილ სამსახურს გავუწევთ არა მარტო ქართულ ტყეს, არამედ ახალგაზრდა სპეციალისტთა დაფრთიანება-სტაჟირების ესოდენ საჭირო საქმესაც.

ვალერი ხიდაშელი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი;

გოგი ბერიაშვილი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოს სახალხო ფრონტის წევრები.

საკუთარ სახლში

კოქსი... ახალციხის ქვანახშირისაგან

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფ. ნ. თავაძის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტის მკვლევართა ჯგუფმა შექმნა ჩინებული წარამძღვარი იმისათვის, რომ ახალციხის მურა ნახშირის ოდესღაც დაკონსერვებულ სანგრევებში კვლავ დაიწყო დეფიციტური ენერგეტიკული ნედლეულის დამუშავება. მეცნიერების — თ. ჩუბინიძის, ს. ჯაფარიძის, დ. სულავასა და გ. არეგაძის მეცადინეობით შემუშავებულია დაბალნაცრიანი მურა ნახშირისა და ტყვარჩელის მაღალნაცრიანი ქვანახშირის ნარევიდან რესპუბლიკის ფეროშენადნობი მრეწველობისათვის კოქსის მიღების პერსპექტიული ტექნოლოგია.

მკვლევარების მიერ შექმნილი სათბობი ზჩსტატიკის სადნობი ღუმელებისათვის, როგორც ექსპერიმენტებმა ცხადყვეს, შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ქვანახშირისაგან მიღებულ ტრადიციულ კოქსზე უფრო ძვირფასი. მთელი საიდუმლო ის არის, რომ ახალციხის მურა ნახშირის შემადგენლობაში შედის კაჟმიწა და თიხამიწა — შენაერთები, რომლებიც ანიშებენ მას დიდ ნაცრიანობას. მაგრამ სწორედ ეს არასასურველი კომპონენტები იქცა ახლა იმ „ჯადოსნურ მარცვლად“, რომელიც ახალი საბუობის კოქსს გადიდებულ ღირებულებას ანიშებს. ეგრეთ წოდებული ნაცარი, წიდა, რომელსაც მურა ნახშირი შეიცავს, შეიძლება მეცნიერებს დიეხმაროს მთელი რიგი ფეროშენადნობების მიღების თვით ტექნოლოგიის გამარტივებაში. მაგალითად, კაჟისა და ალუმინის შემცველი გარკვეული ფეროშენადნობების დნობისას, ღუმელს უმატებენ კაჟმიწასა და თიხამიწას. ახლა კი, როგორც გამოც

კონკურსი

„ქართული მუსიკა და ქორეოგრაფია - 91“

გვესაუბრება პაატა ბურჭულაძე

საქართველოს მუსიკოსთა საზოგადოება უკვე რამდენიმე თვეა დაძაბულად და გეგმაზომიერად მუშაობს, რათა დროულად და უნაკლოდ განხორციელდეს მათივე ჩანაფიქრი, ჩაატარონ საერთაშორისო კონკურსი — „ქართული მუსიკა და ქორეოგრაფია-91“. უკვე დიდი ხანია შექმნილია კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი და აი, თანდათან მიილია მოსამზადებელი პერიოდი — კონკურსის დაწყებამდე ორი კვირაღა დარჩა.

ამ ცოტა ხნის წინ ხანგრძლივი საგასტროლო ტურნედან სამშობლოში დაბრუნდა საქართველოს მუსიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარე ბატონი პაატა ბურჭულაძე. ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება, ბუნებრივია, არ ღირდა და ვესტუმრეთ მას. მინდა წინასწარ გითხრათ, რომ ბატონი პაატას თხოვნით ჩვენი საუბარი ამჯერად მხოლოდ მომავალი „კონკურსით“ შემოიფარგლა.

— ბატონო პაატა, პრესით, რადიოთი და ტელევიზიით საქართველოს მცხოვრებლებმა კარგა ხანია შეიტყვეს, რომ ა. წ. თებერვალში თქვენი საზოგადოების ინიციატივით ტარდება საერთაშორისო კონკურსი „ქართული მუსიკა და ქორეოგრაფია-91“... დებულების თანახმად შარშან, 30 დეკემბრამდე, კონკურსში მონაწილეობის მსურველებს საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიშზე უნდა შეეტანათ გარკვეული თანხა... როგორი სიტუაციაა დღეისათვის? ხომ არ ემუქრება „კონკურსს“ რაიმე?

— ჯერჯერობით ყველაფერი წესრიგშია. დღეისათვის 1000-მდე შემსრულებელმა გამოთქვა კონკურსში მონაწილეობის სურვილი. ასე რომ, საორგანიზაციო კომიტეტსა და ჟიურის წევრებს წინ დაძაბული შრომა ელით. მაყურებლებს კი ლამაზი დღეები.

ბევრი მონაწილე ბევრ მოსაგვარებელ საკითხს ნიშნავს —დასვედრა, დაბინავება, კვება, ტრანსპორტი, გამგზავრება... ყველაფერი ეს მოსაგვარებელი იქნება და მინდა წინასწარ მადლობა გადავუხადო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, რომელმაც გაითვალისწინა რა ჩვენი თხოვნა, შესაბამისი განკარგულებით მიმართა ყველა იმ უწყებასა თუ სამინისტროს, რომელთა დახმარებითაც უნდა მოვგვარდეს ზემოთ ჩამოთვლილი თუ ჩამოუთვლელი საქმეები.

ასე რომ, ჯერჯერობით ყველაფერი წესრიგშია.

— სამინისტროებს, უწყებებს, წარმოება-დაწესებულებებს, ასოციაციებსა თუ კოოპერატივებს თავის დროზე თქვენც მიმართეთ განცხადებით, მხარი დაეჭირათ და პრაქტიკულადაც დახმარებოდნენ კონკურსის ჩატარებას... გამოეხმაურა ვინმე თქვენს მიმართვას?

— უკვე გითხარით, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მოიწონა და პრაქტიკულად დაეხმარა ჩვენს გადაწყვეტილებას. ასევე გვეხმარება ფინანსთა სამინისტრო, ასოციაცია „იყალთო — XXI“. სხვაც ბევრი დაგვპირდა მხარდაჭერას და იმედია, არ გადავლენ პირობას.

— ბატონო პაატა, ვიცით, რომ კონკურსის ჩატარება თებერვლის თვეშია დაგეგმილი, მაგრამ კონკრეტულად რომელი დღეები გაქვთ შერჩეული?

— წინასწარ შესარჩევი ტური, ეგრეთწოდებული ზონალური კონკურსების ჩატარება თბილისსა და ქუთაისში გვაქვს დაგეგმილი. თბილისში იგი 9 და 10 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინისტროს კულტურის სახლში ჩატარდება. აქ ვიწვევთ აღმოსავლეთ საქართველოსა და დედაქალაქის სამხატვრო კოლექტივებს. 15 და 15 თებერვალს კი ქუთაისში გადავინაცვლებთ და დასავლეთ საქართველოს კოლექტივებს მოვუსმენთ. ზონალურ კონკურსში გამარჯვებულებს 21-23 თებერვალს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში მოვიწვევთ. 24 თებერვალს კი შედგება კონკურსის საზეიმო დახურვისა და გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი. ამ დღესვე ჩატარდება გამარჯვებულთა კონცერტი, რომელიც ულამაზეს წარმოდგენად გვაქვს ჩაფიქრებული. მის განსახორციელებლად ვიწვევთ ქართული სცენის ცნობილ რეჟისორებს. სურვილი გვაქვს მთელი სანაზაო შესასყიდად შევთავაზოთ უცხოეთიდან საგანგებოდ მოწვეულ ბიზნესმენებს.

— რადგან უცხოელები ახსენეთ, იქნებ იმ კოლექტივებზე გვითხრათ რამე, უცხოეთიდან რომ ჩამოდიან, როგორ გადაწყვიტეთ, სპეციალური სტუმრებად ჩათვლით მათ თუ კონკურსში მიაღებინებთ მონაწილეობას?

— უცხოეთიდან კოლექტივების მოწვევის ძირითადი მიზანი მათთან შემდგომი კულტურული ურთიერთობის დამყარებაა. ქართველ და უცხოელ მონაწილეებს საშუალება ექნებათ გაეცნონ ერთმანეთს, დამეგობრდნენ, შემოქმედებითად გაამდიდრონ და მომავალში ერთმანეთს უმასპინძლონ კიდეც. რაც შეეხება კონკურსში მონაწილეობას, თუ კი რომელიმე მოწვეული ჯგუფი ამის სურვილს გაამჟღავნებს, მაშინ თითოეულ მონაწილეზე მათ უნდა გადაიხადონ დებულებით გათვალისწინებული თანხა და გამარჯვების შემთხვევაში კი მიიღებენ ასევე დებულებით გათვალისწინებულ ფულად ჯილდოსა და დიპლომებს.

— დიდი მადლობა, ბატონო პაატა. თქვენი სახელით, კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ყველას, მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, სცადონ ძალა... კონკურსის პირობები ხომ ისეთია, რომ გამარჯვების შანსი ყველა მონაწილეს თანაბრად აქვს.

— ასევე, კიდევ ერთხელ ვიტყოდი წარმოება-დაწესებულებებსა თუ ორგანიზაციებისა და კოოპერატივების მესვეურთ, ვთქვათ, კიდევაც დრო, მხარში ამოუდგნენ საორგანიზაციო კომიტეტს, რათა ლამაზად და უნაკლოდ ჩატარდეს ჩვენი დღევანდელობისათვის ასე საჭირო და აუცილებელი კონკურსი — „ქართული სიმღერა და ქორეოგრაფია-91“.

ესაუბრა
თემურ ჭუმბაძელი.

ინტერვიუ

„პარლამენტის საქმიანობას იმედით ვუყურებ“

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ჟურნალს, საზოგადოება „თვისტომის“ პრეზიდენტს, ჟურნალ „დილის“ მთავარ რედაქტორს რევაზ მიშველაძეს.

— ბატონო რევაზ, მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეული დაიწყო, რა ნიშანთვრძნობა გეუფლებათ ახლა, XXI საუკუნის პარმაღთან მდგომს?

— ჩემი კარგო, ძალიან გთხოვთ, ეგარდუა მკითხავის როლს ნუ დამაკისრებთ. თანაც უკვე მაღიზიანებს ყველას რომ ბაგეზე აკერია: „ეს გზა ტაძრამდე მიგვიყვანს“? ისე გავცეთით ეს მშვენიერი ფრაზა, რომ პირველდელი ლაზათი ოდნავაც აღარ შერჩა.

— მოწყენილი მეჩვენებით.

— რა მოგახსენოთ, „სასიხარულოს ცოტას გვაძლევს ცხოვრება ჩვენი“.

— რა რეალური საფუძველი აქვს თქვენს ამგვარ მაქსიმალიზმს?

— დაუცველობის დამამცირებელი გრძნობა. წიგნებშიც კი არ წამიკითხავს სიკეთის მომართ ისეთი ძალადობა, რაც საბჭოთა იმპერიაში ხდება. დღისით-მზისით საკუთარ ეზოში გივარდებიან გადამთიელნი და ტყვიას გესვრიან. იმპერატორი კი მშვიდად ბრძანებს; დაუთმეთ, პატარაა, ნუ აწყენინებთ, თავისუფლებისათვის ბრძოლაში გაროულ ხალხს ხელმწიფემ ცეცხლი და მათრახი არ აკმარა — გუშინწინ, ძლივს მბეჭდავი, ეკონომიური წყარო, სიცოცხლის არტერიაც გადაუჭრა, რომ საბოლოოდ დაემტკიცებინა მისთვის — მონა ხარ და მონურად ამოგხდიო/ სულს.

— სიტყვამ მოიტანა და თუ შეიძლება, თქვენი აზრი იმის შესახებ, რაც მთელ ქვეყანას ახლა პირზე აკერია — გორბაჩოვის ხანგრძლივ-სამანეთო აჭიაზე?

— პიროვნების თავისუფლების ამგვარი ხელყოფა, ალბათ, მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოში არ მომხდარა. ეს არასაკუთები დანაშაულია, ვიდრე თბილისს, ბაქოს ან ბალტიისპირეთის სისხლიანი ტერორი. ეს ჯანდაბა აშკარა ბანდიტური კონფიცკაცია იმისა, რაც პიროვნებას, ვინ იცის, იქნებ შავი დღისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში უგროვებია. ჯერ ერთი, თუ ეს ღონისძიება, მართლაც ასმანეთიანების და ორმოცდაათმანეთიანების შესაცვლელად იყო ჩაფიქრებული, გამოვაცხადებდი ადამიანურად, ერთი თვის განმავლობაში გადაახურდავებ მშვიდად ეს ფულო. რა შუაში იყო სამღიანი მარათონი, რასაც უკვე მოჰყვა უამრავი ადამიანის ინფარქტი? არანაკლებ ბიბერეულია დედგენილების მეორე ნაწილი: ჯერ მიმიტყუე ბანკში, ფულს საიმედოდ შეგინახავო, ახლა ჩემს კუთვნილებას ვეტო დავდე და მეუბნები, თუ ჩვენანად იქნები, თვეში ხუთას მანეთს გადმოგიგდებ, თუ არა და საერთოდ შეაყოლე აქედანო. ადამიანი ფულს ბანკში იმიტომ ინახავს, რომ „რასკოლნიკოვებმა“ თავი არ გაუტეხონ. ვთქვათ, მტრისას და ავისას, გარდაიცვალა, ან, ღმერთმა მოგვმრავლოს, შვილის ქორწილი აქვს, სად სდიოს და რამდენ ხანს სდიოს ხუთასმანეთობით თავის საქორწინო, ან საქელეხო თანხას? ავიღოთ ყველაფერზე ხელი? ვინ მოგყიდის ბაზარში ინდაურს გადარიცხვით? შეიძლება კაცს ჰკითხო, ეს ფული სად იშოვეო? როგორც პრემიერმა პავლოვმა გამოგვიცხადა? იქნებ ნიძლავებს იგებს, იქნებ ბაღებამისმა მემკვიდრეობად დაუტოვა, ვინ გკითხავს შენ? სხვათაშორის შრომა-გასწორების კოლონიებში ჯიხურებია, სადაც მარილი, სიგარეტი და შაქარი იყიდება, იქაც კი პატიმრებს არ ეკითხებიან, ფული საიდან გაქვსო, ნუთუ არავის ეშმის, რომ იმპერიის ხელისუფლებამ ამით საბოლოოდ მოიპყრა თავი? ნუთუ ყველაფრის ატანა და მოთმენა შეიძლება?

—მოთმენაზე ბრძანებთ. როგორ ფიქრობთ, რამ შეუწყო ხელი გორბაჩოვის ბოლოდროინდელ განკიცხვას შურისძიებებს თავისუფლების მაძიებელთა მიმართ?

—ისევ და ისევ განუკითხაობამ. უზენაესი საბჭოს ერთ ქარაფშუტა დეპუტატს ვესაუბრე ახლახანს რატომ არ დგებით და არ უჩივნებთ კარენინაკენ ბალტიისპირეთის ჯალათს და ბანკის „რეფორმატორს“-მეთქი. იცით, რა მპასუხა? მეშინია, მარტო დავრჩებიო. შენ არ იცი, რა სიყვარულით შესცქერიან და გაუთავებელ ბძღაუბდაზე ტაშს უკრავენო.

— რას იზამენ მაინც?

— რასაც უკვე აკეთებენ. დაუკვირდით რა ხდება? თუ დავუჯერებთ საქართველოს სტუმარ ერთა და მათს სახღვარგადმელ მხარდამჭერთა ხმებს, ჩვენ, ქართველებს, საქართველოს მიწაზე ერთი მტკაველიც არ გვეკუთვნის. გადამთიელნი, ვისი კულტურის კვალიც ოდნავაც არ ანძინა აქაურობას (საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე 27 ათასი ეროვნული მატერიალური კულტურის ძეგლი და უცხო ერის არც ერთი ძეგლი არ არის), სიმპოზიუმებს და მიტინგებს მართავენ და ჩვენს ტერიტორიის ოკუპაციაში ინაწილებენ. მათ რომ ჰკითხო, თვითონ მამა-პაპის მიწა-წყალს იბრუნებენ და საქართველოში გამოგონილ, მიკროსახელმწიფოებს ჰქმნიან.

— საშველი?

— საშველს სწორად მიაგნო უზენაესი საბჭოს სესიამ. უკანონო ავტონომიების გაუქმება და საქართველოს მოქალაქის სტატუსის შემოღება.

— ეს უშველის ვითარებას? განა ამასწინათ თქვენმა საზოგადოება „თვისტომმა“ არ გამოქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ სტუმარ ერთა გამრავლების ტემპით თუ ვიმსჯელებთ, სულ რაღაც ას წელიწადში საქართველოში ქართველები უმცირესობათა შორის აღმოჩნდებიანო?

— დიახ. და სხვათაშორის ეს სიზმრის ახსნა კი არ არის, რეალური გამოთვლის შედეგად მიღებული სავალალო ფაქტია.

— რაკი ეგრეა, რა ეჩქარებათ „დამპყრობლებს“, ცოტაც დეგვცადონ და მათ დარჩებათ უომრად, უდავოდარბად მფრთი და მოედანი.

— ეს რომ არ მოხდეს, ჩვენ ცაუყოვნებლივ უნდა გავამაგროთ საქართველოს საზღვრები. ალარ უნდა დავუშვათ უცხო ტომის წარმომადგენელთა საქართველოში მასობრივად, მუდმივ საცხოვრებლად ჩამოსვლა. ამაგე დროს, ერთხელ და სამუდამოდ ყურები უნდა გამოვიფხიკოთ და ბარბ არაქართველ მოსახლეობას მივუფრთდით, დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოებში.

— როგორ უყურებთ საქართველოს უზენაესი საბჭოს საქმიანობას?

— პირდაპირ გეტყვით, დიდი იმედით. სამი თვეც არ არის, რაც ჩვენი პარლამენტი მოქმედებს და უკვე ხელთა გვაქვს ქართველების ხატვრის ამხდენელი რამდენიმე დოკუმენტი. არა მგონია, პატარა საქმე იყოს, საქართველოში საბჭოთა კონსტიტუციის მოქმედების შეჩერება, ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე უარის თქმა, ჯომენისტური დღესასწაულების გაუქმება. ამნისტიის გამოცხადება, სამხრეთ ოსეთის არაკანონიერი ავტონომიის გაუქმება, ეროვნული გვარდიის შექმნა, საოკუპაციო იმპერიულ არმიაში ქართველი ახალგაზრდების გაწვევაზე უარის თქმა...

— როგორ უცქერით ოპოზიციას „ერთ მუჯა“ საქართველოში?

საქართველომ თავისი ნება უკვე გამოხატა ამასწინდელი არჩევნებისა და სიცოცხლე, რაკიღა დარწმუნებულია, რომ ქვეყანა სწორი გზით მიდის, თუ დარწმუნდა ქართველი ერი, რომ ახალ პარლამენტს იმაზე მეტი ეშლება, ვიდრე საპატიებლად საკმარისი, ან ასატანია, იგი თვითვე გააკეთებს ახალ არჩევნებს და მისი არჩევანი შეუფალი და საბოლოო იქნება. საბოლოო დასკვნის გასაკეთებლად კი დროა საჭირო. წინასწარ შემოდგომაზე ითვლიან. თუ ხელისუფლებამ ერთი ხელით ქვეყნის საქე ატრიალა, და მეორე ხელით საკუთარი კაბინეტის კარებს გამაგრება დაიწყო, არიქა, ოპოზიციონერები არ შემომიცივდნენო, დამერწმუნეთო, ჩვენვე არ ვიქნებით მართალი, ასეთ ვითარებაში მთავრობას უშეცდომო, ბრძნული საქმიანობა მოვთხოვოთ.

რაც შეეხება ოპოზიციას, იგი ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში არსებობს და ჩვენშიც უნდა არსებობდეს. ოპოზიცია აღვიძებს საზოგადოებრივ აზრს, ხელისუფლებას მოდუნების, თვლემის საშუალებას არ აძლევს. ოპოზიციამ უნდა იცოდეს თავისი ადგილი. უნდა შეიგნოს, რომ იგი კანონიერი ხელისუფლების ოპოზიციაა და სხვა არაფერი. ამიტომაც ისე უნდა იქცეოდეს, როგორც ქვეყნის შველის მოსურნე, პარლამენტური, დემოკრატიული ოპოზიცია იქცევა. შეზღუდვებათა დაპირის-პირებაში არ უნდა გადაიზარდოს. მე რეაქციული, ამბიციური, ძალის პოზიციის მქონე ოპოზიციის წინააღმდეგი ვარ. ჩემს პირად აზრს თავზე არავის ვახვევ, მაგრამ ვერ დავეთანხმები ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის ირონიულ ქირქილს დღეგანდელი პარლამენტის საქმიანობაზე და ვერც ენერგიულ „სვლებს“ მისი გუშინდელი თანამებრძოლების სახელის გასატეხად. ასევე გაუგებარია ჩემთვის ზოგიერთი რაზმელის „ვაჟკაცობა“ რუსთაველის პროსპექტზე და ტელევიზიასთან. შესასვლელებთან, მაშინ, როცა საქართველოს ერთგული ტერიტორიის სხვა უკეთესი ასპარეზი არსებობს სამოქალაქო ომისა და ეროვნული კატასტროფის ასატიებლებლად ქართველობისათვის.

ჩემგან არ ესწავლება ედუარდ შევარდნაძეს, რომ კაცი, უპირველეს ყოვლისა, თავისი ერისთვის გაწეული სამსახურით ფასდება. ჩვენი „ძე შეცთომილი“, ალბათ, ადრე თუ გვიან, ჩვენვე დაგვიბრუნდება, მაგრამ უსაფუძვლო იყო ფიქრიც იმაზე, რომ იგი, კრემლის მიერ ხელდასხმული, ოფიციალური პირად მოგვევლინებოდა.

საქართველო ის საქართველო აღარ არის ე. შევარდნაძემ რომ დატოვა რამდენიმე წლის წინათ. საქართველოს ახლა ჰყავს თავისი, მრავალპარტიულობის პრინციპებზე აჩრეული პარლამენტი, ამიტომ სასაცილოდ მეჩვენებოდა ჯორჯ შევარდნაძის პრეზიდენტად მოვლინებაზე, ფიქრიც კი იმაზე, რომ საქართველო ახლადაბრეულ პარლამენტს გადაირჩენდა და პრეზიდენტად კომუნისტ შევარდნაძეს აირჩევდა. სხვა რა რჩებოდა? შევარდნაძე ამიერკავკასიის ჯარების სარდლის პოსტს ხომ არ დაიკავებდა? იქნებ ორჯონიკიძის მსგავსად რუსის ჯარს შემძღოლოდა საქართველოსათვის ჯუის სასწავლებლად? შევარდნაძე ორჯონიკიძისაგან თავისი დიდი განჭრიახობით და შორსმხედველობით განსხვავდება, ამიტომაც ამას არ ჩაიდენდა და თავის სახელს საუკუნეებში საწყევლად, შესაჩენებლად არ დაუგდებდა თვალს სისხლი უმოწყალოდ იღვრება აღვირახსნილ ექსტრემისტთა მიერ. თქვენ იცით, მე მშვიდობიანი თანამშრომლობის მომხრე ვარ და პირველმა ვუსაყვედურე ზოგ დეპუტატს გამაღიზიანებელი გამოსვლების გამო, მაგრამ ახლა მე თვითონ მაღიზიანებს მავანთა პირველეულობა და ასფალტის რაინდობა, როცა საქართველოს ჭეშმარიტად უჭირს.

— რა ეშველება თავდაღმადაჭანებულ ეკონომიკას?

— ძნელზე ძნელია, მაგრამ თანდათანობით უნდა დავუსტეპოთ იმპერიულ ეკონომიკურ კაბალას და როგორმე ევროპის ეკონომიკურ წრებრუნვაში ჩავეერთოთ.

თურქეთის მიყრუებული სოფლების მაღაზიაში იყიდება ის, რაც ბელგიისა და იტალიის დიდი ქალაქების სავაჭროებში. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თურქეთი საერთო ევროპულ მარაქაშია გარეული. გამოცდებით სარფს და თქვენს წინაშე აღიარებება იმპერიის კედელი, რომელიც ევროპისაკენ გახედვის საშუალებასაც არ გაძლევს.

საჭიროა მეტი კონტაქტები არასაბჭოთა სამყაროსთან. რაკი სავალუტო კონტაქტების საშუალება ჯერ არ გაგვაჩნია, საჭიროებს გაცვლა-გამოცვლის დონეზე მაინც ვითანამშრომლოთ. საქართველო პატარა ქვეყანაა და ისეთი ბუნებრივი სიმდიდრეები, ნედლეული გაგაჩნია, რომ მისი ჭკვიანური რეალიზების შემთხვევაში თავს შშვენივრად იგრძნებ.

— რა აზრის ბრძანდებით პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის 7 იანვრის გადაწყვეტილებაზე?

— მოველოდი. იმპერიამ თავის გადარჩენის ბოლო, ყველაზე საშიშ ხერხს მიმართა. მიხვრია, რომ უზენაესი საბჭოს პოზიცია ამ საკითხში ურყეგია. ჩვენ უკან დასახევი გზა არა გვაქვს. ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოო. იმპერია ახალ ანექსიას გვიპირებს. მაგრამ არ გამოუვა. დღეს მსოფლიოში ყველაფერი ხელისგულზე ჩანს და იმედი მაქვს, ჩვენ გასაპირსაც დაინახავენ, გამოგვესარჩლებიან. მანამდე კი უნდა ვიმარჯვოთ, რათა პავლეს მოსვლამდე ტატნის ტყავი არ გაახროს. რაც შეეხება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიას, სანამ საქართველო იარსებებს, იგი ველარასოდეს აღდგება. ოსი ერის მოღალატე ოსი ექსტრემისტების ალაგმვაც შორს აღარ არის. დროა მიხვდნენ ჩვენი სტუმრები, რომ უაზრობაა თავისი მიწის დაცვის მოსურნე ოთხმილიონიანი საქართველოს წინააღმდეგ იარაღით ბრძოლა. ხომ შეიძლება ბოლოსდაბოლოს ჩვენი მოთმინების ფიალაც აივსოს?

—„ლიტვა-ლატვიის ეპოპეაზე“ აზრს არ გეკითხებით, თქვენმა „საზოგადოებამ — „თვისტომმა“ უკვე გამოხატა თავისი დამოკიდებულება ჩვენი გაზეთის საშუალებით. როგორ ფიქრობთ, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს დეკლარაციის გამოცხადებას?

— „იმპერიის მოდერნიზების“ გორბაჩოვისეული გეგმა ჩაიფუშა. ლიტვამ წერტილი დაუსვა ყოველგვარ ოპუმორობას დიქტატურის გაღვიძებასთან დაკავშირებით. აქამდე გორბაჩოვის ძალას დასავლეთის მხარდაჭერა განაპირობებდა, ახლა ეს მხარდაჭერაც გაჭრა. ყაირავებული იმპერია და მისი თავკაცი მსოფლიოს თვალწინ ნამდვილი სახით გამოჩნდნენ. ხალხის მრისხანება იქამდე მივიდა, რომ პრეზიდენტისთვის ნობელის პრემიის ჩამორთმევაც კი მოითხოვეს სრულიად სამართლიანად. ამაოა ბალტიისპირეთის ტერორის სხვებისათვის გადაბარებების მცდელობა. იმპერიული ძალების ამ ნაბიჯმა იმპერიის აღსასრული დააჩქარა. ალბათ, საბჭოთა იმპერია კიდევ ერთხელ მოიქნევს ხიკვდილის ცელს და ეს ბოლო მოქნევა იქნება.

— ბატონო რევაზ, ახლა ასეთი ტრადიციული შეკითხვა: რა სიახლეებია თქვენს შემოქმედებაში?

— „მერანმა“ ახლახანს გამოსცა ჩემი ახალი ნოველების კრებული „განაჩენი“. ამ წიგნში შეეცადე საქართველოს უკანასკნელი ორი-სამი წლის ვითარება დამებახატა. ნოველების დიდი უმრავლესობა ჩვენს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შეეხება. „მერანმა“ გამოსაცემად მომაწადა ჩემი სამტომეული და პირველი ტომი უკვე გაგხვავა ასაწყობად. რუსთაველის საზოგადოების ეგიდით მალე გამოვა ცენზურის მიერ აკრძალული ანდა დამახინჯებული ნოველების წიგნი სახელწოდებით „იღბლად გადარჩენილი ნოველები“.

ვწერ ნოველებს ჩვენი ცხოვრების ცხელ ქვაზე და ქართველ მწერალთა შემოქმედების აწახველ წიგნს — „მინაწერები სატელეფონო წიგნზე“. მინდა ყველა ჩემს კოლეგაზე ვთქვა ჩემი მოკრძალებული შეხედულება.

— რას გვეტყვით თქვენი ახალი ჟურნალის „დილის“ შესახებ?

— „დილი“ პროგრესული ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი იქნება, უკომპრომისო, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი.

პირველი ნომრის რედაქტირება უკვე დავამთავრე, მეორე ნომრის მასალების შეგროვებაზე ვმუშაობ.

— გმადლობთ, ბატონო რევაზ, წარმატებებს გისურვებთ.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ღმერთმა აგაშენოთ.

მეჭკვიდრეობა

ერის დიდება და სიამაყე





სურათებზე: ლია სიხარულიძე და ნაზი ნიაზაშვილი სარესტავრაციო-სამკინძაო ლაბორატორიაში მუშაობენ; ხანმეტი პალიმფსესტი (ქვედა ფენა ოთხთავია V-VI საუკუნებისა); მოჭედილი ყდები (ოქრო და ვერცხლი) XVII-XVIII საუკუნეების ხელნაწერებისა, უძველესი ფოლიანტების აღდგენისას.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქართველი ხალხის სულიერი კულტურის უმდიდრესი მემკვიდრეობაა დაცული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ამ უნიკალურ განძთსაცავში ინახება ძველი ქართული ორიგინალური ძეგლები, ქრისტიანული და აღმოსავლური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოებების თარგმანები, რომლებიც ხშირად აღადგენენ პირველწყაროს. ეს უძვირფასესი განძი საიმედოდ არის მოვლილი, დაბინავებული, აღწერილი, დიდი ნაწილი გამოცემულია კიდეც.

თავისი არსებობის სამი ათეული წლის მანძილზე ინსტიტუტმა მომამზადა და გამოსცა ქართული და აღმოსავლური ხელნაწერების აღწერის 26 ტომი, გამოჩენილ მოღვაწეთა და ფილოსოფოსთა ნაშრომები. გამოსაცემად მზადდება ბაზღვარგარეთის ცენტრებში დაცული ქართული ხელნაწერების მეცნიერული აღწერილობა, ასევე რამდენიმე საინტერესო თარგმანი. და ყველაფერს ამას დიდი რუდუნებით და სიყვარულით აკეთებს ინსტიტუტის კოლექტივი, რომელიც თავის უპირველეს მოვალეობად რაცხს ერის კულტურის უძრეტი საგანძურის შესწავლასა და დაცვას. ამ ფოლიანტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრების ისტორიის შესწავლისათვის.

ფართოა ინსტიტუტის კოლექტივის სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო. სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების გამართვა, საზღვარგარეთის საკვლევ ცენტრებთან თანამშრომლობა, სპეციალისტთა გაცვლა, ერთობლივი გამოცემები — ყველაფერი ეს ხელს უწყობს ჩვენი ხალხის მრავალი თაობის შრომითა და ნიჭით შექმნილი განძის დაცვას, თაობებს შემოუნახავს იმას, რითაც ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ. სულ უფრო იზრდება ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდი, საშობლოს უბრუნდება არაერთი ეროვნული კულტურის საგანძური.

კიდევ ერთხელ ვფიქრობთ, რომ ლიტვის, ასეთი დაცველის, როგორიც არიან სტაროვოიტოვა და პოპოვი, ისევე როგორც მათ სხვა თანამოაზრეთა გვერდით დგომა ქართველისათვის სძრაზხისია. საინტერესოა, როგორი ახალი კავშირის მოხმობა ბანი ბანი აბუღალე — სტაროვოიტოვა, პოპოვი და სხვაროვი რომ გვთავაზობენ? ისინი ხომ გამგრძელებელნი არიან საქართველოს მიმართ სტალინ-ორჯონიკიძის ეროვნული პოლიტიკისა! სწორედ ამ პოლიტიკის მსახურებმა მოგვწყვიტეს სამხრეთ საქართველო და საინგილო და იგივე ძალა (გვარომეს) შიდა ქართლსა და აფხაზეთს და არ სცილობს მე-19 საუკუნის მანძილზე და 1921 წელს საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიებს.

უმორჩილესად ვთხოვთ რა ქედს „მონანიების“ სახელგანთქმული ავტორის წინაშე, ასევე უშორსლესად ვთხოვთ მას, საჯაროდ, ღიად განუმარტოს ქართველებს, ისევე როგორც პატიოსან, ქართულის არამცოდნე არაქართველებს, თუ რამ დააყენა იგი ჩვენი სამშობლოს დამაქცევართა გვერდით. იქნებ საქართველო არაა ღირსი არსებობისა, იქნებ მართალია სტრავროგინა, რომლის პოლტიკასაც მივყევართ რუსთველის ჭიშკრის ბრძოლიურ კუთხეში თურქული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის გაჩენისაკენ. იქნებ მართლაც ისინი, ვინც ბორჩალოს აღორძინებისაკენ მოუწოდებენ. იქნებ მართლაც არიან ისინიც, ვინც უშლიან ხელს ქართველებს დუხობორების ყოფილ სოფლებში დაბრუნების ყოფილ სოფლებში დაბრუნების ყოფილ სოფლებში დაბრუნების. შეიძლება ყოველივე ეს სამართლიანი იყოს და ამაში დაგვარწმუნოს ბ-ნ თ. აბულაძის ბრძნულმა შეგონებამ.

შეიძლება ვცდებით, მაგრამ აბულაძის, პოპოვისა და სტაროვოიტოვას ერთობლივი ხელმოწერა გვაფიქრებინებს, რომ ისინი თანამოაზრეები არიან. ჩვენ საკუთარი პოზიცია არ დაგვიმალავს.

საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, დაარსების დღიდან აცხადებს, რომ საქართველოს მოკავშირე შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც დაიცავს საქართველოს ინტერესებს, და არა იმ სახელმწიფოს ხელმძღვანელი ორგანო, რომლის პოზიციასაც განაპირობებს სტაროვოიტოვასი, პოპოვისა და ძმათა მათთა შეხედულებები. რომ ასეთი სამოკავშირეო ხელშეკრულების იდეა შეიძლება განხილული გახდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი სამშობლოს დაიბრუნებს დამოუკიდებლობას.

საგანგაშო მდგომარეობაა! შეიქმნა საბჭოთა კავშირის „ეროვნული ხსნის“ ახალი ტიპის კომიტეტი. ჩვენ კი, ჩვენს მხრივ, უშორსილესად ველით სახელოვანი შემოქედის, ბ-ნ თ. აბულაძის პასუხს.

საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირის გაგებით.

1991 წლის 23 იანვარი, თბილისი.

წერილი რედაქციას

საქართველოს ეროვნული - ლიბერალური კავშირის გამგეობის განცხადება

დემოკრატებო, გაერთიანდით დიქტატურის წინააღმდეგ საბრძოლველად! — გაისმა ე. შევარდნაძის ომახიანი შეძახილი სსრკ დეპუტატთა IV ყრილობაზე. შეძახილი კარგია... დაიწყო ბობოჭარი პროცესი ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ 1920-30-იან წლებში დაპყრობილი და ანექსირებული ქვეყნების — საქართველოს, ბალტიის რესპუბლიკების, მოლდოვის და სხვათა მშვიდობიანი გზით დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიული წყობის დამყარებისაკენ სწრაფვის ანუ გაშლილი, ჩვენთვის ტრადიციული გაგებით, ფართო ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის გვერდით, გაჩნდა მეტად უცნაური დაჯგუფება. ამის საუკეთესო მაგალითია, ამა წლის 20 იანვრის „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ პირველივე გვერდზე გამოქვეყნებული გაზეთის დამფუძნებელი საბჭოს წევრთა განცხადება.

ლიტვის მოვლენებისადმი მიძღვნილ ამ წერილში ვკითხულობთ შემდეგს: „გთხელილია ერთა თვითგამორკვევის უფლება. ყოველივე, რაც მოხდა ლიტვაში, ერთიმეშვიდწლოვნად უნდა დახასიათდეს როგორც დანაშაული. დანაშაული საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, რომელსაც უბიძგებენ სამოკალაქო ომისაკენ. **კავშირის შესანარჩუნებლად სრულებითაც არაა აუცილებელი მისი გადაქცევა „ხალხთა ხალხად“.**

ვილნიუსში შექმნილი ვითარება ნაწილობრივ შედეგია იმისა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელები აღმოჩნდნენ ქვეყნის დემოკრატიულ ძალთა ჯაჭვიდან ამოვარდნილი რგოლის როლში. ლიტვის დეპუტატები თითქმის მთელი წელი არ მონაწილეობდნენ სსრკ უზენაესი საბჭოს მუშაობაში, რაძაც აგრეთვე უარყოფითი შედეგები გამოიღო. **სწრაფვა მხოლოდ საკუთარი დამოუკიდებლობისაკენ ძალიერია სხვა რესპუბლიკებში.** მაგრამ ახლა, ისე როგორც არასდროს, შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ცალკ-ცალკე ჩვენ ვერ გავუძლებთ. ლიტვურის მსგავსი ეროვნული ხსნის ანონიმური კომიტეტები შეიძლება ზვალ გაჩნდნენ ბალტიისპირეთის სხვა რესპუბლიკებში, მოსკოვში, ლენინგრადში ან ერევანში. სრულებით ცხადია, თუ ვის ხელ

წარსულიდან მოგავლისაკენ

2. ინგლისელები საქართველოში და ბათუმის საკითხი

1918 წლის ნოემბერში ინგლისის ჯარები ორ მხრიდან — ყარსიისა და შავი ზღვიდან მიადგნენ ამიერკავკასიას. ნოემბრის შუა რიცხვებში, ინგლისის ჯარებმა გენერალ ტომსონის მეთაურობით, დაიკავეს ბაქო. იმავე დროს, ინგლისის მისიის მეთაურმა ჯორდანმა წერილით მიმართა საქართველოს მთავრობას და თხოვა ბინები და სხვა დახმარება საქართველოში ინგლისის ჯარების განლაგებისათვის. დადებითი პასუხის მიღების შემდეგ ინგლისის ჯარები ბათუმში შევიდნენ.

ამასთან დაკავშირებით, ინგლისის პრესა წერდა: ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების შესვლის მიზანია ამიერკავკასიის დაცვა თურქების შეტევისაგან, ქართველებსა და სომხებს შორის სადაო საკითხების მოგვარება და ინგლისის ჯარებისათვის გზების დაცვა კასპის ზღვის მხარეში.

31 დეკემბერში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მალეტმა აცნობა საქართველოს მთავრობის მიერ პარიზში გაგზავნილი დელეგაციის (კ. გვარჯალაძე, ზ. ავალიშვილი, დ. ღამბაშიძე) ერთ-ერთ წევრს — ზ. ავალიშვილს (რომელიც იმ დროს ლონდონში იყო), რომ „მისი უდიდებულესობის მთავრობა სიმპათიით შეხვდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებას და მზად არის იზრუნოს მისი ცნობისათვის პარიზის საზავო კონფერენციაზე“. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბრიტანეთის სარდლობა და მისი წარმომადგენლები ნაკლებად იცავდნენ ასეთ დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ. მათი მოქმედება უფრო კოლონიზატორული ხასიათისა იყო.

როგორი იყო ვითარება 1919 წლის 1 დეკემბრისათვის ამიერკავკასიაში? აი, რას წერდა ამის შესახებ იტალიის სამხედრო მისიის მეთაური პოლკოვნიკი გაბა: „ბათუმის ოლქი და ბათუმი ამიერიდან ოკუპირებულია ბრიტანეთის მიერ. ინგლისელები აქ ახორციელებენ მმართველობას ადგილობრივ ქართულ (მუსლიმანურ) და სხვა ელემენტებზე დაყრდნობით, მაგრამ ზრუნავენ იმაზეც, რომ არ გამოიწვიონ გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმიის უმაყოფილება, რომელსაც ისინი დახმარებას უწევენ იარაღით, აღჭურვილობით და პროდუქტებით.

გენერალი დენიკინი, ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში წარუმატებლობის კომპენსაციის მიზნით, განუწყვეტლივ ეძებს ომის საბაბს საქართველოსთან და აზერბაიჯანთან. დიპლომატიური, საკონსულო და სავაჭრო ურთიერთობები ამ რესპუბლიკებსა და მოხალისეთა არმიას შორის დაახლოებით ერთი თვის წინ შეწყდა. ამჟამად მდგომარეობას ამწვავებს გენერალ დენიკინის მიერ აზერბაიჯანის საზღვრების გამო, მშვიდობიანი გზით გადაჭრისაკენ, განიცდიან მარცხს გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმიის ჯიუტობის გამო. მიუხედავად ჩვენი გულწრფელი სურვილისა, მოგვეგვარებინა ეს უთანხმოებანი მშვიდობიანი გზით, ტერიტორიების ხელშეუხებლობის შესახებ გარანტიის მიუხედავად, რომელიც მან მისცა საქართველოს მთავრობას, მოხალისეთა არმია მიმდინარე წლის 6 თებერვალს მოულოდნელად გადავიდა სოჭის, ოლქის საზღვარზე და შეუტია იქ განლაგებულ ჩვენი ჯარის ნაწილებს... ინგლისის სარდლობამ წინააღმდეგ მისცა დენიკინს, გაეთავისუფლებინა სოჭის ოლქი, მაგრამ ეს არ შესრულდა. ამიტომ საქართველოს მთავრობამ აუცილებლების პრინციპი — ფლობდეს თავის ბედს.

ამიტომ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა სრული ნდობით ელოდება პარიზის კონფერენციისაგან თავისი დამოუკიდებლობის ცნობას და მისი საზღვრების სამართლიან გადაწყვეტას, რომელშიც მან უნდა იარსებოს. მაგრამ ვიდრე ეს საკითხი გადაწყდება პარიზის კონფერენციაზე, საქართველოს მთავრობა ცდილობდა და ცდილობს მშვიდობიანად მოაგვაროს კონფლიქტები საზღვრების გარშემო თავის მეზობლებთან.

და აი, როდესაც ჩვენ ვდგავართ საზავო კონფერენციის მიერ ამ საკითხების გადაჭრის ზღვარზე, ჩვენი ცდები, მიმართული უთანხმოების, რომლებიც წარმოიშობიან საზღვრების გამო, მშვიდობიანი გზით გადაჭრისაკენ, განიცდიან მარცხს გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმიის ჯიუტობის გამო. მიუხედავად ჩვენი გულწრფელი სურვილისა, მოგვეგვარებინა ეს უთანხმოებანი მშვიდობიანი გზით, ტერიტორიების ხელშეუხებლობის შესახებ გარანტიის მიუხედავად, რომელიც მან მისცა საქართველოს მთავრობას, მოხალისეთა არმია მიმდინარე წლის 6 თებერვალს მოულოდნელად გადავიდა სოჭის, ოლქის საზღვარზე და შეუტია იქ განლაგებულ ჩვენი ჯარის ნაწილებს... ინგლისის სარდლობამ წინააღმდეგ მისცა დენიკინს, გაეთავისუფლებინა სოჭის ოლქი, მაგრამ ეს არ შესრულდა. ამიტომ საქართველოს მთავრობამ აუცილებლად ჩათვალა დაეკავებინა სტრატეგიული საზღვარი მდინარე მეხადირზე, რომელიც იმავე დროს საქართველოსა ისტორიული საზღვარია. მაგრამ გენერალ დენიკინის წარმომადგენელ ინგლისელ გენერალ მოლაპარაკების დროს გამოირკვა, რომ დენიკინი პრეტენზიას აცხადებს არამარტო სოჭის ოლქზე, არამედ მისი პრეტენზიები სოხუმამდეც აღწევს.

დარწმუნებული იმაში, რომ შეუძლებელია დავუშვათ აზრი, რომ მსგავსი განცხადება შეესაბამება მოკავშირეთა მთავრობის შეხედულებებს, გთხოვთ გაარკვიოთ ეს საკითხი და აცნობოთ ევროპის საზოგადოებრიობას ის დანაშაული, რომელსაც ამზადებს გენერალ დენიკინი ჩვენს წინააღმდეგ“.

ევ. გეგეჭკორის ამ წერილს ერთვის დაახლოებით შვიდგვერდიანი დამატება, სადაც დეტალურადაა აღწერილი საქართველოს საზღვრები შავი ზღვიდან (მდ. მაკოპსედან). მთელი ჩრდილო-კავკასია, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის საზღვრების გაყოლებით, შავ ზღვამდე (მდ. ჭოროხამდე). მათ მოსდევთ ახსნა-განმარტებები და ისტორიული ცნობები, საუკუნეების განმავლობაში საქართველოს საზღვრების შესახებ.

ბრიტანეთის სარდლობას ასევე ანტიქართული პოზიცია ეკავა. ბათუმის საკითხში. „ინგლისელები, — ატყობინებდა თავის მთავრობას პოლკოვნიკი გაბა, — არ არიან დაინტერესებული ბათუმსა და ბათუმის ოლქში ცხოვრების ნორმალური პირობების აღდგენაში... დამღუპველი. ამრიგად, დადგა დრო მოქმედებისათვის. საქართველოსათვის ეს არის 1918 წლის აპრილისკენ დაბრუნება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამჟამად სამშიშროება გეგმურება არა თურქეთიდან, არამედ ბოლშევიკებიდან. იძულებული ვარ, სიმწრით განვაცხადო, რომ ამ პირილში, როგორც ორი წლის წინ, ჩვენ ვრჩებით მარტო, იმიტომ, რომ შესაძლებელია, თქვენი მთავრობა ამ შემთხვევაში ან სრულიად არაა ინფორმირებული, ან იგი ვერ იფასებს ჩვენი რესპუბლიკის დაღუპვას რუსეთის ბოლშევიკების მხრიდან, როგორც თავისი ინტერესების კრახს აღმოსავლეთში. ასეთ ვითარებაში ჩვენი ხალხის უმაღლესი ინტერესები მოითხოვენ საქართველოს მთავრობისაგან იმოქმედოს დაუყოვნებლივ. არ შემიძლია გითხრათ, როგორი მსხვერპლის საფასურად მივაღწევთ ჩვენ მიზნს, მაგრამ ადვილი გასაგებია, რომ მსხვერპლი იქნება კოლოსალური.

აქეთებს რა ასეთ განცხადებას, საქართველოს მთავრობა რჩება ანტანტის სახელმწიფოებისადმი ერთგული, მაგრამ ამ სახელმწიფოებთან შეთანხმებით, მომართავს უკანასკნელ ცდას ჩვენი საერთო საქმის განსახორციელებლად. საქართველოს მთავრობა გამოთქვამს იმედს, რომ თქვენ მიიღებთ ყველა სასწრაფო ზომას, როგორც ამას ამჟამად მოითხოვს შექმნილი ვითარება, რათა ჩვენს ამ მოწოდებას ისეთი ბედი არ ეწიოს, როგორიც თქვენმა ჩვენს ადრინდელ მიმართვებს...“.

შოკავშირეებისადმი საქართველოს მთავრობის ეს მომართვაც უშედეგოდ დარჩა. ინგლისის სარდლობა განაგრძობდა თავაშვებულ მოქმედებას ბათუმსა და ბათუმის ოლქში, რასაც საქართველოს მთავრობა ვერ შეურიგდებოდა.

„ჩემი მთავრობის სახელით,— ნათქვამია ევ. გეგეჭკორის მიერ 1920 წ., 15 მაისს პოლკოვნიკ გაბასადმი მიწერილ წერილში, — ჩემს მოვალეობად ვთვლი, განვაცხადო ყველაზე გადამწყვეტი პროტესტი გენერალ კუკ-კოლისის უმგვანესი მოქმედების წინააღმდეგ. შეიარაღებული ბანდები, რომლებიც ბათუმის ოლქის ქობულეთის რაიონში მოქმედებენ, გაჩხენენ არა გუშინ. ჩემი მთავრობის სახელით არაერთხელ გაცნობეთ, რომ მრავალრიცხოვანი აზერბაიჯანელი, თურქი და ბოლშევიკი აგენტი, საკუთარი ხელისუფლების თვალწინ თავისუფლად ეწეოდნენ პროპაგანდას, შეწიდნენ დაქირავებული აგენტების ჯგუფებს ჩვენს წინააღმდეგ. ამისათვის დაიხარჯა რამდენიმე მილიონი მანეთი... ინგლისის სარდლობამ არაერთი უკრადღება არ მიაქცია ჩვენს პროტესტებს. ბათუმი გახდა ნამდვილი ბაზა, საიდანაც ნებისმიერ მომენტში შეგვიძლია ველოდოთ თავდასხმას.

საქართველოს მთავრობა დღემდე ატარებდა ამ საშიშროების პრევენციის პოლიტიკას. ბათუმის ოლქის საზღვრებზე ჩვენ ვინარჩუნებდით ჩვენი ჯარის ნაწილების განლაგების საშუალებით, სადაც სიმშვიდეა და არსებობს საშუალება. დაცულ იქნეს საქართველოს საზღვრები თურქეთის შემოტევისაგან. ამის შემდეგ ხსენებულმა ბანდებმა თავი მოიყარეს ქობულეთის რაიონში. ამან გვაიძულა შეგვეყვანა ამ რაიონში ჩვენი ჯარები. ინგლისის სარდლობა ამაში დაინტერესებულ უნდა ყოფილიყო, რამდენადაც ლაპარაკია ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაზე და რაიონში წესიერების დამყარებაზე. მაგრამ ვამტკიცებთ, რომ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო. როდესაც ჩვენი ჯარის ნაწილები შეიჭრნენ ქობულეთის რაიონში და დაიწყეს ბრძოლა ზემოხსენებული ბანდების წინააღმდეგ, რომელთა სათავეში იდგნენ თურქი ოფიცრები და პაიჭაძის (ინგლისელი ემიძის მცველის) ტიპის მოღალატე ელემენტები, საქმეში ჩაერია ინგლისის სარდლობა. პირველ რიგში გენერალ მილნი, რომელიც ბანდების წინააღმდეგ სროლის დროს, შემთხვევით აღმოჩნდა ცეცხლის ქვეშ და მისცა ამ ფაქტს ისეთი შეფასება,რომ თითქოს ჩვენი ნაწილები ესროდნენ მას და ბრძანა უკანვე გაეყვანათ ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი. როდესაც ჩვენი მთავრობა, მიდიოდა რა დათმობაზე, შეასრულა ეს მოთხოვნა, გენერალმა კუკ-კოლისმა მოითხოვა საერთოდ ჩვენი ჯარების გაყვანა ამ რაიონიდან, მან ჩვენს წინააღმდეგ წარმართა ინდოელთა რაზმი, რომელიც ცეცხლის გახსნით გვემუქრებოდა. ქობულეთის რაიონში ჩვენს წინააღმდეგ ბანდების მოქმედება დაემთხვა საბჭოთა აზერბაიჯანის საომარი მოქმედების დაწყებას საქართველოს წინააღმდეგ. ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან ეს ორი ფრონტი ერთია: იქაც და აქაც ერთიდაიგივე მტერია.

1. 1919 წლის 5-6 თებერვალს ღამით, მდ. ჩოლოქის ხიდზე გუშაგებმა სროლა აუტეხეს ქართველ მესაზღვრეებს, რომლის შედეგად ერთი ქართველი ჯარისკაცი დაიჭრა. იმავე დღეს, უმიზეზოდ, ქართული ჯარის ოფიცერი აბაშიძე, მის მშობლიურ სოფელ ბორჩხაში მიმავალი, ბრიტანეთის ხელისუფლებამ დააკავა. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლმა ბათუმში პოლკ. გედევანიშვილმა მიღება თხოვა გენერალ-გუბერნატორს, მაგრამ დროის უქონლობის გამო მან იგი არ მიიღო.

2. იმავე წლის 1 ივნისს ჩემს განცხადებაში, რომელიც მიმართული იყო ამიერავკასიაში ბრიტანეთის ჯარების მთავარსარდალისადმი, პროტესტს ვაცხადებდი გენერალ-გუბერნატორის პოსტზე გენერალ რომანოვსკი-რომანენკოს დანიშვნის გამო, რომელმაც პირველმა შექმნა ანარქია ბათუმში.

3. იმავე წლის 20 და 21 თებერვლისა და 1920 წლის 6 მარტის წერილებში ვაცნობებდი საფრანგეთის, იტალიისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს და პოლკოვნიკ ჰასკელს, რომ ბათუმში ბოლშევიკებისა და თურქეთის აგანტების ორგანიზაცია, მათი ჯგუფებად შექმნა ხდება ბრიტანეთის ხელისუფლების თვალწინ, ხოლო ეს ჯგუფები იქმნება ერთადერთი მიზნით: შექმნან ანარქია ქვეყანაში და გააჩაღონ სამოქალაქო ომი მთელს ამიერკავკასიაში. საქართველოს რესპუბლიკის და ანტანტის ყველა მტერმა თავშესაფარი ჰპოვა ბათუმში და იქ შექმნა ბაზა ძირგამომთხრელი მუშაობისათვის. ქობულეთის რაიონში ასეთ განდგულ სათავეში უდგანან თბილისში ინგლისელი ექიმის მკვლელი პაიჭაძის მსგავსი სხვა აგენტები, რომლებმაც თავიდან აიცდინეს თბილისში მართლმსაჯულება.

4. მომდინარე წლის 6 მარტს გაცნობე მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებს და ლორდ კერზონსაც ის ფაქტი, რომ გენერალი კუკ-კოლისი არიგებს იარაღს ბათუმის მოსახლეობაში და ჰქმნის რაზმებს ქართული ჯარის წინააღმდეგ, რომელსაც უკვეთი ზოგიერთი პოზიცია ამ რაიონში.

5. 5 აპრილს, სოფელ კინტრიშში ხიდის აფეთქების შემოგდების დღეს, კვლავ მივაქციე თქვენი ყურადღება იმ არასასიამოვნო ფაქტებს, რაც ხდება ბათუმის ოკინიგზაზე და გამოვთქვი პროტესტი გენერალ კუკ-კოლისის განცხადების წინააღმდეგ, რომლის მიხედვით, თითქოს, ამ რაიონის მოსახლეობა განწყობილია ქართული ჯარის წინააღმდეგ, რაც უსაფუძვლო განცხადებაა. თქვენდამი მიწერილ წერილებში და პირადი საუბრის დროსაც, ყოველთვის თქვენს ყურადღებას მივაქცევდი ინგლისის სარდლობის დაუნებებელობას, დაამყაროს წესრიგი ბათუმსა და ოლქში, მიეღოს ზომები საზოგადოებრივი დაწესებულებების, მაღაზიების მძარცველების წინააღმდეგ. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ბათუმის ბაზარზე სრულიად თავისუფლად იყიდება თურქეთიდან ჩამოტანილი ვაზნები, ასფეთქებელი ნივთიერებები და შაშხანები. ბრიტანეთის სარდლობის წარმომადგენლები კრებებზე და მიტინგებზე დევნიან იმათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის მხარდასაჭერად გამოდის, ხოლო ანტიქართულ ელემენტებს ეძლევათ სრული თავისუფლება...

საქართველოს გააჩნია ბათუმსა და ბათუმის ოლქში მეტად მნიშვნელოვანი ინტერესები, რომლებიც დაფუძნებულია პოლიტიკურ, ეროვნულ-ეკონომიკურ და სტრატეგიულ მოსაზრებებზე. რომ უდალატო ამ მოსაზრებებს ან უარი თქვა მათზე, ეს იქნებოდა გამოუსწორებელი კრახი... როდესაც ჩვენ სანდო წყაროებიდან მივიღეთ ცნობები, რომლებიც შეეხებოდნენ ინგლისის ჯარების გაყვანას ბათუმიდან, საქართველოს მთავრობამ დაინახა საშიშროება, რომელიც თურქეთის, აზერბაიჯანისა და ბოლშევიკების მითითებით მომზმედი ანარქისტული ელემენტებისაგან, ემუქრებოდა ამ რაიონს და უბრძანა თავის ჯარის ნაწილებს მისულიყვნენ ბათუმის რაიონის საზღვრებთან და დაეკავებინათ ზოგიერთი სტრატეგიული პუნქტი, უკვე დატოვებული ბრიტანეთის ნაწილების მიერ. მას ჰქონდა ამის უფლება ბრიტანეთის სარდლობასთან ადრე მიღწეული შეთანხმების თანახმად. მაგრამ გენერალმა კუკ-კოლისმა ეს არ დაუშვა და ჩვენი ჯარების უკან დახევა მოითხოვა.

...ბანდიტურ ჯგუფებთან ქართული ნაწილების შეხვედრის დროს, იქ აღმოჩნდნენ ინგლისელი ოფიცრები — კაპიტანი რეინკი და ლეიტენანტი ოლვერი, რომლებმაც გენერალ მილნის სახელით, ბრძანეს ქართული ჯარის უკან დახევა. ამ ბრძანების შესრულების შემდეგ, ბანდიტებმა ალყა შემოარტყეს ქართველ ჯარისკაცებს და ინგლისელი ოფიცრების თანდასწრებით ამოხოცეს ისინი. ამ ფაქტის შესახებ ინგლისის სარდლობას ეცნობა, მაგრამ ამ ფაქტზე ზომები არ მიუღიათ.

6. მომდინარე წლის 6 მარტს გაცნობე მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებს და ლორდ კერზონსაც ის ფაქტი, რომ გენერალი კუკ-კოლისი არიგებს იარაღს ბათუმის მოსახლეობაში და ჰქმნის რაზმებს ქართული ჯარის წინააღმდეგ, რომელსაც უკვეთი ზოგიერთი პოზიცია ამ რაიონში. ამ ბრძანების შედეგად ქართველ ჯარისკაცებს ალყა შემოარტყეს ბანდიტებმა და ინგლისელი ოფიცრების თანდასწრებით ამოხოცეს ისინი. ამ ფაქტის შესახებ ინგლისის სარდლობას ეცნობა, მაგრამ ამ ფაქტზე ზომები არ მიუღიათ.

7. 7 აპრილს, სოფელ კინტრიშში ხიდის აფეთქების შემოგდების დღეს, კვლავ მივაქციე თქვენი ყურადღება იმ არასასიამოვნო ფაქტებს, რაც ხდება ბათუმის ოკინიგზაზე და გამოვთქვი პროტესტი გენერალ კუკ-კოლისის განცხადების წინააღმდეგ, რომლის მიხედვით, თითქოს, ამ რაიონის მოსახლეობა განწყობილია ქართული ჯარის წინააღმდეგ, რაც უსაფუძვლო განცხადებაა. თქვენდამი მიწერილ წერილებში და პირადი საუბრის დროსაც, ყოველთვის თქვენს ყურადღებას მივაქცევდი ინგლისის სარდლობის დაუნებებელობას, დაამყაროს წესრიგი ბათუმსა და ოლქში, მიეღოს ზომები საზოგადოებრივი დაწესებულებების, მაღაზიების მძარცველების წინააღმდეგ. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ბათუმის ბაზარზე სრულიად თავისუფლად იყიდება თურქეთიდან ჩამოტანილი ვაზნები, ასფეთქებელი ნივთიერებები და შაშხანები. ბრიტანეთის სარდლობის წარმომადგენლები კრებებზე და მიტინგებზე დევნიან იმათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის მხარდასაჭერად გამოდის, ხოლო ანტიქართულ ელემენტებს ეძლევათ სრული თავისუფლება...

საქართველოს გააჩნია ბათუმსა და ბათუმის ოლქში მეტად მნიშვნელოვანი ინტერესები, რომლებიც დაფუძნებულია პოლიტიკურ, ეროვნულ-ეკონომიკურ და სტრატეგიულ მოსაზრებებზე. რომ უდალატო ამ მოსაზრებებს ან უარი თქვა მათზე, ეს იქნებოდა გამოუსწორებელი კრახი... როდესაც ჩვენ სანდო წყაროებიდან მივიღეთ ცნობები, რომლებიც შეეხებოდნენ ინგლისის ჯარების გაყვანას ბათუმიდან, საქართველოს მთავრობამ დაინახა საშიშროება, რომელიც თურქეთის, აზერბაიჯანისა და ბოლშევიკების მითითებით მომზმედი ანარქისტული ელემენტებისაგან, ემუქრებოდა ამ რაიონს და უბრძანა თავის ჯარის ნაწილებს მისულიყვნენ ბათუმის რაიონის საზღვრებთან და დაეკავებინათ ზოგიერთი სტრატეგიული პუნქტი, უკვე დატოვებული ბრიტანეთის ნაწილების მიერ. მას ჰქონდა ამის უფლება ბრიტანეთის სარდლობასთან ადრე მიღწეული შეთანხმების თანახმად. მაგრამ გენერალმა კუკ-კოლისმა ეს არ დაუშვა და ჩვენი ჯარების უკან დახევა მოითხოვა.

...ბანდიტურ ჯგუფებთან ქართული ნაწილების შეხვედრის დროს, იქ აღმოჩნდნენ ინგლისელი ოფიცრები — კაპიტანი რეინკი და ლეიტენანტი ოლვერი, რომლებმაც გენერალ მილნის სახელით, ბრძანეს ქართული ჯარის უკან დახევა. ამ ბრძანების შესრულების შემდეგ, ბანდიტებმა ალყა შემოარტყეს ქართველ ჯარისკაცებს და ინგლისელი ოფიცრების თანდასწრებით ამოხოცეს ისინი. ამ ფაქტის შესახებ ინგლისის სარდლობას ეცნობა, მაგრამ ამ ფაქტზე ზომები არ მიუღიათ.

8. მომდინარე წლის 6 მარტს გაცნობე მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებს და ლორდ კერზონსაც ის ფაქტი, რომ გენერალი კუკ-კოლისი არიგებს იარაღს ბათუმის მოსახლეობაში და ჰქმნის რაზმებს ქართული ჯარის წინააღმდეგ, რომელსაც უკვეთი ზოგიერთი პოზიცია ამ რაიონში. ამ ბრძანების შედეგად ქართველ ჯარისკაცებს ალყა შემოარტყეს ბანდიტებმა და ინგლისელი ოფიცრების თანდასწრებით ამოხოცეს ისინი. ამ ფაქტის შესახებ ინგლისის სარდლობას ეცნობა, მაგრამ ამ ფაქტზე ზომები არ მიუღიათ.

გამოსათხოვარი

ალექსანდრე ფრანგიშვილი



ქართულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უფროსი ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე სევერიანის ძე ფრანგიშვილი.

ა. ფრანგიშვილი დაიბადა 1909 წლის 1 სექტემბერს. ქუთაისის სოციალურ-ეკონომიკური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, ფსიქოლოგიის განხრით, რომელიც 1927 წელს დაამთავრა.

შემდგომ პერიოდში იგი მუშაობდა სახალხო განათლების სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ხოლო 1948 წლიდან, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დაარსებისთანავე, იგი იწყებს მუშაობას ინსტიტუტის სწავლულ მდივნად. 1950 წელს, დ. უზნაძის გარდაცვალების შემდეგ, ა. ფრანგიშვილი ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი გახდა, რომელსაც იგი 35 წელი ხელმძღვანელობდა. მან გააგრძელა დ. უზნაძის დაწყებული საქმე და ხელი შეუწყო განწყობის თეორიის გადაქცევას მსოფლიო ფსიქოლოგიის ერთ-ერთ სერიოზულ მიმართულებად.

გამოკვლევათა რამდენიმე ციკლიდან, რომელიც ა. ფრანგიშვილმა შეასრულა, უპირველესად აღსანიშნავია შრომები განწყობის ფსიქოლოგიის პრინციპულ საკითხებზე, რომელთა გამოქვეყნებამ 1954 წელს ფსიქოლოგიის ცენტრალურ ჟურნალში საკვლევრო მაშტაბის მრავალწლიანი დისკუსია გამოიწვია. ამან ხელი შეუწყო ფსიქოლოგიაში პიროვნებისა და სუბიექტის ცნებების გამოყენებას და ბიძგი მისცა განწყობის თეორიაში პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგიის პრობლემების კვლევას.

ა. ფრანგიშვილი ფსიქოლოგიის ზოგადთეორიულ საკითხებთან ერთად ფსიქოლოგიის აქტუალურ კერძო საკითხებსაც ამუშავებდა. ასეთი შრომების ციკლს მიეკუთვნება გამოკვლევები, სადაც დაუშვა მეხსიერების, აღზრდისა და სწავლების პრობლემები. ეს შედეგები განზოგადდა მონოგრაფიაში „სწავლის ფსიქოლოგიის საკითხები“, რომელიც საქართველოს პედაგოგიურმა საზოგადოებამ ი. გოგებაშვილის სახელობის მედლით დააჯილდოვა. შრომაში განვრცობის თეორიის მიხედვით დასაბუთებულია ახალი ორიენტაცია სწავლა-აღზრდის საკითხების მაღალ დონეზე წარმართვისათვის.

ფსიქოლოგიის ისტორიის საკითხებზე გამოკვლევების ციკლიდან საყურადღებოა ნარკვევები საქართველოში ფსიქოლოგიური ცოდნის განვითარების გზებზე. აღნიშნული შრომები ავტორმა განაზოგადა ვრცელ მონოგრაფიულ გამოკვლევაში „ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიის ცოდნის ისტორიიდან საქართველოში“, რომელმაც ხანგრძლივი საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ა. ფრანგიშვილი ავტორია შრომებისა სოციალურ ფსიქოლოგიაში. 1942 წელს გამოცემულმა სოციალურ-ფსიქოლოგიურმა გამოკვლევამ „ბანქოს ფსიქოლოგიის სათვის“ დასაბამი მისცა სოციალურ ფსიქოლოგიურ კვლევას საქართველოში.

ა. ფრანგიშვილმა საინტერესო მუშაობა ჩაატარა ეთნოფსიქოლოგიაში, მან შეისწავლა ქართული ენის ლექსიკურ ფონდში ნაგულისხმევი ფსიქოლოგიური ცოდნის სისტემა და აჩვენა, რომ ქართულ ფსიქოლოგიურ შეხედულებათა სისტემა ძირითადად სიტყვა „ენის“ საშუალებით არის გამოხატული. ამ გამოკვლევამ დასაბამი მისცა ახალ მიმართულებას ეთნოფსიქოლოგიურ კვლევაში.

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ა. ფრანგიშვილს განწყობის თეორიის პოპულარიზაციასთვის. ჯერ კიდევ 40-იან წლების ბოლოს ფურნალ „ფსიქოლოგის“ III ტომში მან შეკრიბა საბჭოთა კავშირის წამყვანი ფსიქოლოგების კვლევების განწყობის საკითხებზე, რითაც დიდი სტიმული მისცა განწყობის ფსიქოლოგიის განვითარებას, შემდგომში, 1971 წელს მან შეადგინა დ. უზნაძის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ფსიქოლოგიის კორიფეებმა. 1978 წელს თბილისში ა. ფრანგიშვილის თაოსნობით მოეწყო არაცნობიერისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელშიც მონაწილეობდა ევროპის, ამერიკის და აზიის კონტინენტის თითქმის ყველა წამყვანი ფსიქოანალიტიკოსი და ფსიქოლოგი. ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო განწყობის ფსიქოლოგიის პოპულარობას. დ. უზნაძისა და ქართული ფსიქოლოგიის შრომები ითარგმნა — ევროპულ ენებზე და არაბსა სხვადასხვა ქვეყნის ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოებში.

ა. ფრანგიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა სამეცნიერო საზოგადოებამ. 1968 წელს ა. ფრანგიშვილი არჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს — ნამდვილ წევრად. იგი იყო ჯერ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, შემდეგ — აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში, რომლის მრჩეველად ბოლო წუთამდე.

ჩვენება საზოგადოების მეცნიერების დიდი ქომაგი დაკარგა.

ა. აფაქიძე, ელ. გაბაუნია, ა. თავხელიძე, რ. მეტრეველი, ზ. ნადირაშვილი, ვ. ნორაქიძე, გ. სანაძე, თ. სიხუა, ზ. უკლება, ი. ფრანგიშვილი.

რეკლამა

ყველას, ვისაც იზიდავს აღმოსავლური ორთაბრძოლები, იწვევს კარატეს კლუბი

„ჯიქი“

კლუბში მუშაობენ კვალიფიციური და გამოცდილი მწვრთნელები, ჰყავთ 1990 წლის თბილისის და საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები. კლუბს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქართველოსა და უცხოეთში ჩატარებულ ნებისმიერ ჩემპიონატში.

კლუბი ურთიერთობას ამყარებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან, დღესდღეობით კავშირი აქვს ამერიკასთან, იაპონიასა და ჩინეთთან, წყობს გასვლებს ამ ქვეყნებში, შეუძლია თავისი სახსრებით ჩაატაროს ტურნირი, სხვადასხვა ქალაქიდან მოიწვიოს გუნდები და ამ დარგის სპეციალისტები.

კლუბს აქვს ფსიქოლოგიური კაბინეტი, სადაც მუშაობენ ამ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. აქვე ეწყობა ლექციები, სადაც მსმენელებს აცნობენ აღმოსავლური ორთაბრძოლების ისტორიას, აჩვენებენ ამ თემისადმი მიძღვნილ მხატვრულსა და დოკუმენტურ ფილმებს.

კარატეს კლუბი „ჯიქი“ ეძებს სპონსორებს, რომლებსაც გაუწევს რეკლამას და დაეხმარება უცხოეთის ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებაში.

კლუბის პრეზიდენტად არჩეულია ქ. თბილისის 1990 წლის ჩემპიონი კარატეში გოჩა ჯავახია.

კლუბს სექციები გააჩნია სხვადასხვა მისამართზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოგვაკითხონ: ქ. თბილისი, ჭავთარაძის ქ. № 23, II ექსპერიმენტული სკოლა, ან ყოფილ ცეკას შენობა (მისასვლელია სულხან საბას ქუჩიდან 19-დან 22 სთ-მდე.

ცნობებისათვის დარეკეთ: 31-02-79 — 11-დან 22 საათამდე, ან 98-76-68 — 20-დან 22 საათამდე.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს ცენტრალური აპარატის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ცხინვალში ტრაგიკულად დაიღუპნენ თბილისის და მთაწმინდის რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებების გამომძიებლები:

ალგული (ედუარდ) გენინის ძე ქირია და თენგიზ კონსტანტინეს ძე ჭიპაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულთა ოჯახებს.

მთავარი რედაქტორი მამუკა შარიაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;

წერილების რედაქცია 99-73-24.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგამომცემლო კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.

ინდექსი 88434.

საქართველოს რესპუბლიკა

ერთადერთი გაზეთია საქარ თველოში, რომელიც თითქმის ყოველდღიურად მშობლიურ ენაზე მიაწვდის მკითხველს ახალ-ახალ ინფორმაციებს რესპუბლიკისა და საზღვარგარეთის ცხოვრებაზე.

„საქართველოს რესპუბლიკა“ ჩვენი ხალხის სიყვარულითა და ნათელი მომავლის რწმენით არის დამუხტული.

მისი გამოწერა შეგიძლიათ ყოველი თვის 15 რიცხვამდე.